# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 7 ივნისი 2003 №104 (1875) | ფასი 50 თეთრი


# დიპლომი და ფსიქოლოგია: გუშინდელი ბაზა

## სახელმწიფო ჯილდო და შუშაკის იმედი







# კალაძეს ის უხარია, რომ ხალხს უხარია

# კაცი არსაიდან



REUTERS

ხუან კარლოს ფერერო



REUTERS

მარტინ ვერკერკი

## ყველაზე მოულოდნელი ჰოლანდიელი

როლანგაროსული თიხნარის ერთფეროვნებაში ერთბაშად შევარდნილმა დაუზორკავი ჰოლანდიური ემოციების ნიაღვარმა კიდევ ერთი ჯებირი წალეკა. მარტინ ვერკერკმა დიდი შინაგანი ვნებათაღელვით — რაც ასე საინტერესოდ აისახება მის სახეზე — თუმც მხოლოდ სამ სეტში ჩატევით გაიარა მისთვის დღემდე უცნობი საფეხური, სლემტურნირის ნახევარფინალი და გადარეული შევარდა ფინალში. ყოჩაღმა არგენტინელმა ბაჭუნამ გილერმო კორიამ „ყაჩაღ“ ჰოლანდიელს ვერა დააკლო. საინტერესოა, რას მოუხერხებს როლან გაროსის ზედიზედ მეორედ ფინალისტი, ოსტატი კასტილიელი მეთიხნარე ხუან კარლოს ფერერო.

თავად ფერერომ კი გუშინ მეორე ნახევარფინალურ შეხლაში თანამემამულე ალბერტ კოსტა დაამარცხა, ვისთანაც შარშან თავად დამარცხდა პარიზული თიხის მთავარ კორტზე.



გიო ახვლედიანის

სვეტი

## როგორც გინდათ, ისე...

ზეგ საქართველოს ნაკრები ირლანდიაში მიემგზავრება.

ძველი და საყოველთაოდ ცნობილი ინფორმაციით სვეტის ასე დაწყება უვარგისი ამბავია, მაგრამ გააჩნია, როგორი ინტონაციით წავიკითხავთ ამ სიტყვებს.

შეგვიძლია ხმადაბლა ვთქვათ, შეგვიძლია ისე, როგორც ტელეწამყვანები ამბობენ, შეგვიძლია გახშირებული სუნთქვა მივაყოლოთ... ისიც შეგვიძლია, რომ ვიღრიალოთ ეს სიტყვები და ბოლოშიც სამი ძახილის ნიშანი დავუსვათ. გააჩნია, როგორ ვუყურებთ ამ თამაშს და რას მოველით მისგან.

ცხადია, თითოეულ გულშემატკივარს თავისი მიდგომა აქვს ამ მატჩისადმი, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველას ის გააერთიანებს, რომ ნაკრებისადმი დიდი იმედი გაჩნდა რუსეთთან თამაშის შემდეგ.

ამასობაში კი საქართველოს ნაკრები მორიგი გამოცდის წინ დგას.

„მორიგი“ არ არის უბრალოდ მორიგი, ეს არის შუშაკის გუნდის გამოცდა გასვლაზე, ძლიერ გუნდთან, რომელსაც სახლში თამაში უყვარს და ეხერხება. ყველამ ვიცით რა არის ირლანდია. ბოლო საფეხბურთო წელიწადს ირლანდიელთა მეტი თამაში გვინახავს, ვიდრე ჩვენი ნაკრებისა. ისიც ყველას მოეხსენება, რომ ირლანდია ახლა უარესია, ვიდრე შარშან ამდროს. თუმცა, ისიც ყველას მოეხსენება, რომ უარეს და უკეთეს ირლანდიას შორის განსხვავება ყოველთვის საკმაოდ პირობითია, რაშიც თბილისშიაც დავრწმუნდით ამ გაზაფხულზე. ირლანდია შეიძლება იყოს უკეთესი, ან უარესი, მაგრამ სუსტი ის კარგახანია არ ყოფილა და არც იქნება.

მეორეს მხრივ კი, საქართველო მზარდი გუნდია და სერიოზული ბრძოლების სურვილი ეტყობა. მათი და ჩვენი გამოცდილება სხვადასხვაა, თუმცა, სწორად თამაშის შემთხვევაში, ჩვენ უნდა გვქონდეს წმინდად სამხრეთული უპირატესობები.

ირლანდიასთან მატჩის მზადებისას დღე არ გაივლის, რომ ნაკრებიდან ცუდი ამბავი არ მოვიდეს: ხან ის დაშავდა, ხან ეს გამოგვაკლდა. რას იზამ, ფეხბურთის ნაწილია. ირლანდიელები რომ სტუმრობდნენ ჩვენთან, გვარიანი სალაზარეთე ფურცელი ჰქონდათ, მაგრამ მაინც მოგვიგეს. თუმცა, ბანაკიდან ხალისის ხმებიც მოისმის, კალაძის ჩამოსვლა, ხიზანას ტრანსფერი „რეინჯერსში“ და სხვა ასეთი ამბები, რა თქმა უნდა, კარგს მატებს გუნდის განწყობას.

ასე რომ, საქართველო საბრძოლველად მიდის, ისე, როგორც მიდიან ხოლმე ნამდვილი გუნდები. გრძნობებს რომ შევეშვათ, ყველას გვაინტერესებს, რა იყო რუსეთთან თამაში, ერთი ქართველური თავზე ხელის აღება, ათასი კარგი რამის თანხვედრით რომ მოხერხდება ხოლმე, თუ ის, რომ საქმე დაიწყო და საქართველო ნამდვილად ჩაება ნამდვილ ბრძოლაში.

ზეგ საქართველოს ნაკრები ირლანდიაში მიემგზავრება.

როგორც გინდათ, იმგვარად წარმოთქვით ეს სიტყვები.

# დუბლინს არაფერს დავაკლებთ

## ამბობს შუშაკი, რომელსაც ტრავმებმა ბევრი მოთამაშე დააკლო

**ივო შუშაკის** სანაკრებო ვარჯიშები ხალისიანი და სალაღობო უფროა, ვიდრე დაძაბული და ინტენსიური. ფეხბურთელები ძირითადად ბურთით შრომობენ და დიდ დატვირთვებსაც შეგნებულად ერიდება მწვრთნელი, მაგრამ ხორვატისთვის დღეს ისე არ გაუვლია, ტრავმის გამო ვინმე არ დაჰკლებოდა.

გუშინდელი წვრთნა გახურებულიც არ იყო, შუშაკმა კაპიტანი *გიორგი ნემსაძე* ნაკრების დასტაქრებს რომ გადააბარა. გიორგიმ ჯერ წვრთნა შეწყვიტა და იქვე, მოედნის კიდესთან ჩამოჯდა, მერე მარცხენა ბარძაყზე ბლომად ყინული შემოახვიეს და გასახდელში გაუშვეს.

— კუნთი შოტლანდიის თასის ფინალში ვიტკინე. ერთ-ერთი საჰაერო ორთაბრძოლისას ბურთისთვის მიხაელ მოლსი მეცილებოდა, ჰოდა, ბარძაყში მისი მუხლი მომხვდა. ფეხი ისე მეტკინა, თითქოს ნაჯახი ჩამცხესო, მაგრამ მაშინ არაფერი შევიმჩნიე.

იმ დღიდან მოყოლებული ძირითადად ყინულით ვმკურნალობდი, რაც თითქოს მშველოდა. წვრთნას რომ ვიწყებ, ვერაფერს ვგრძნობ, მაგრამ როგორც კი კუნთი დაიტვირთება, ტკივილიც მძლიერდება. როგორც ექიმებმა მითხრეს, კუნთში სისხლჩაქცევა მაქვს. ეტყობა, წყლული ბოლომდე ვერ მოვიშუშე, თანაც ვეჭვობ კუნთიც დაზიანებულია.

**— ირლანდიაში შენი თამაში საბოლოოდ გამოირიცხა?**

— იმედი ჯერაც არის. მატჩამდე კიდევ ოთხი დღეა, დილით კი ბარძაყის კუნთის სრულფასოვან გამოკვლევას ჩავიტარებ და დანამდვილებით მაშინ მეტყვიან საბოლოო პასუხს.

თვრამეტკაცა გუნდმა უნემსაძეოდ საათზე მეტხანს ივარჯიშა. ნაკრების წვრთნაზე იმდენი ქომაგი იყო, ზოგჯერ ჩვენი უმაღლესი ლიგის თამაშები რომ ვერ იზიდავს.

ეროვნული გუნდის ახალგაზრდა გულშემატკივრები კი ნაკრების წევრების თითოეულ მოხდენილ მოძრაობას, გამოზომილ პასსა თუ კარში ზუსტ დარტყმას დიდი ხმაურით ხვდებოდნენ. ყველაზე მეტი ოვაციები ქომაგებისგან კახა კალაძეს ერგო. ესეც იმას ადასტურებს, რომ სადღეისოდ კალაძე ყველაზე პოპულარული ქართველი მოთამაშეა.

წვრთნის დასასრულს ხორვატმა ფეხბურთელები ხელოვნურ ლეიბებზე წამოაგორა, თან კუნთებს ადუნებდნენ ნაკრების წევრები, თანაც თავზე წამომდგარი შუშაკის შეგონებებს ყურს უგდებდნენ — „მაქსიმალურ ყურადღებას გთხოვთ, ენერგია დავზოგოთ, ძალები სრულად აღვიდგინოთ, ირლანდიაში არ უნდა შევრცხვეთ, მათაც აჩვენეთ, რა შეგიძლიათ“ — ხორვატმა მონოლოგი დაასრულა და შეგირდებს გასახდელისკენ მიუთითა.

გვირაბისკენ მიმავალი *ალექსანდრე რეხვიაშვილი* მოვიხელთეთ, კაცი, რომელიც მოედანზე თუ მის გარეთ თავის საქმეს დიდი ერთგულებით და თავდადებით აკეთებს:

— ვფიქრობ, საუკეთესო ფორმასთან ახლოს ვარ. რუსეთში ჩემპიონატი გახურდა, თანაც კლუბში თითქმის სისტემატურად ვთამაშობ და ჩემს მზადყოფნაზე ამანაც დადებითად იმოქმედა.

— არადა, ადრე კლუბში პრობლემები გქონდა, მოსკოვიდან სულაც წასვლას აპირებდი...

— ახლა ყველაფერი რიგზეა, მწვრთნელს ჩემი სჯერა და მენდობა, ხოლო პრეზიდენტი ყოველი თამაშის შემდეგ მადლობას მიხდის ნაყოფიერი გარჯისთვის.

**— ნემსაძის ტრავმის შემდეგ შუშაკს, ფაქტობრივად, ერთი გამოკვეთილი საყრდენიღა შერჩა...**

— ირლანდიასთან ორი საყრდენით თამაში გუნდს მოქმედებას გაუიოლებს. მე მაინც მჯერა, რომ გიორგი გამოკეთდება და 11 ივნისს მოედანზე იქნება. არადა, მის გასაკეთებელსაც ჩვენ ვიტვირთებთ.

**— ირლანდიასთან წარმატებული თამაშისა თუ გეიმედება?**

— დღეს არ მეგულება გუნდი, ვისაც პრინციპულ მატჩში მეტოქის ნახევარი ძალით ძლევა ძალუძს. ირლანდიელები ჩვენამდე ალბანეთს მასპინძლობენ. იმ მატჩის შედეგს „მწვანეთა“ ნაკრებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. არც ალბანეთია ხელწამოსაკრავი და „სამყურებს“ დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევთ. ოთხ დღეში ორი მატჩის მაღალ დონეზე ჩატარება კი ძალიან გაუჭირდებათ. სწორედ ეს უპირატესობა უნდა გამოვიყენოთ, ჩვენი თამაში დავიჭიროთ და მეტოქეს პრობლემები შევუქმნათ.

გულმოდგინედ ემზადება საირლანდიოდ დონეცკის „მეტალურგის“ ქართველი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე, რომელმაც ბოლო სანაკრებო მატჩებისას თავი კარგი თამაშით დაგვამახსოვრა.

— ვფიქრობ, კარგ ფორმაში ვარ. უკრაინის ჩემპიონატში გოლებიც გამაქვს და შავ სამუშაოსაც საკმაოდ ვასრულებ — გვითხრა გიორგიმ, გუშინდელი სანაკრებო ვარჯიშის მერე რომ გავესაუბრეთ — შემიძლია ვთქვა, ფორმის პიკში ვარ და ირლანდიამდე დაშვებას არ ვაპირებ.

**— დუბლინში რისი იმედი უნდა გვქონდეს?**

— მოგების. საქართველოს ნაკრები მოსაგებად ემზადება. დუბლინში თამაში გაგვიჭირდება, მაგრამ ჩვენ გვაქვს იმის ძალა, რომ ირლანდიელები წავაქციოთ.

**— ირლანდიამ თუ საქართველოსთან თუნდაც ქულა დაკარგა, ფაქტობრივად, ევროპის ჩემპიონატზე თამაშის შანსიც აღარ რჩება...**

— ეგ რა ჩვენი საქმეა. ევროპის ჩემპიონატზე თამაში ჩვენც ძალიან გვინდა და შევეცდებით, მოვიგოთ. ურთულესი მატჩი გველის, თუმც საკუთარი თავისა და ბიჭების იმედი მაქვს. თამაში თუ თავიდანვე ავაწყვეთ, მასპინძლებს ბევრ პრობლემებს შევუქმნით.

ამასობაში ბატონი ივოც გამოვიდა გასახდელიდან, სადაც გულშემატკივრებიც შეპარულიყვნენ და ლეგიონერებთან ფოტოს გადაღებას ლამობდნენ. *შუშაკმა* საპრესკონფერენციოდ გვიხმო, თავისუფალი ხუთიოდ წუთი მაქვსო, თუმც ჩვენთან ოცი წუთიც დაახანა.

— ჩვენ ბოლო დღეებში ხშირად ვხვდებით ერთმანეთს და თითქოს ახალიც რა უნდა გითხრათ, მაგრამ ყოველდღე რაღაც ხდება და ვალდებული ვარ, მოგახსენოთ.

სამწუხაროდ, გიორგი ნემსაძის ტრავმა იმაზე გაცილებით სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. გიორგის გამოკვლევას დილით ჩაუტარებენ და საბოლოოდ გადაწყვეტილებასაც მაშინ მივიღებ.

ლეგიონერებმა საკმაოდ დაძაბული სეზონი ჩაამთავრეს. მე ველოდი კიდეც პრობლემებს და შეკრებაზეც ამად ვიხმე 22 ფეხბურთელი.

ახლა გუნდში მხოლოდ 18 ჯანმრთელი მოთამაშე დამრჩა. მართალია, ახალგაზრდული გუნდის თავკაცი რევაზ არველაძე დავით სირაძესა და ალეკო ამისულაშვილს თავისთან ელოდა, მაგრამ ჩემი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, ახალგაზრდულის მწვრთნელს ვერაფრით ვეხმარები. მე ნაკრებში 22 საუკეთესო ქართველი გამოვიძახე, დამრჩა 18, ამიტომ სირაძე და ამისულაშვილი ჩემთან დარჩებიან.

დღეს საღამოს ბიჭებს შეკრებიდან ვათავისუფლებ, ხვალ სადილამდე ისინი ოჯახებში დაისვენებენ. მშობლებს და ახლობლებს მოიკითხავენ, ხვალ საღამოდან კი ფეხბურთელებს სხვა ყველაფერზე ფიქრი ეკრძალებათ. მათი ფიქრები მხოლოდ ირლანდიურ მატჩს უნდა დასტრიალებდეს.

სადღეისოდ გუნდის მზადყოფნით კმაყოფილი ვარ, შეგირდებს თავდაჯერებას, საკუთარი ძალების რწმენას ვამჩნევ და ეს კარგის მანიშნებელია. დღეს ბაზაზე კახა კალაძე დააჯილდოვეს. ამან კარგი ატმოსფერო შეგვიქმნა და დამატებითი სტიმულიც მოგვცა.

რუსეთთან ჩვენმა გუნდმა თავდადებით ითამაშა, ირლანდიასთან სხვა მოტივაცია არსებობს, მონდომება და თავდადება უნდა გავაორკეცოთ. ნაკრებში არაერთი გამოცდილი ფეხბურთელი მყავს, რომლებსაც ბევრი რთული მატჩი გადაუგორებიათ. ამიტომ დარწმუნებული ვარ, არ შევრცხვებით, სუსტი თამაშის მიზეზს უბრალოდ, ვერ ვხედავ.

დღეს ვერ გეტყვით, რა შემადგენლობით ვითამაშებთ, ანაც როგორი ტაქტიკით ვესტუმრებით მეტოქეს. ვნახოთ, ჯერაც ბევრი მაქვს ასაწონ-დასაწონი. იქნებ სულაც სამი თავდამსხმელით ვითამაშო.

დღეს დილით გივი ნოდია დუბლინში გაფრინდა, ალბათ იცით, ირლანდია — ალბანეთს ოთარ გაბელია უნდა დასწრებოდა, მაგრამ მან თავი შეუძლოდ იგრძნო და თბილისში დარჩა. ნოდია დუბლინში მეტოქეზე ინფორმაციებს დაგვახვედრებს, რისი გათვალისწინებითაც თამაშის დღეს ძირითად შემადგენლობას დავასახელებ.

ბოლოს ივო შუშაკმა გვითხრა, ახალი კიდევ რა უნდა მოხდეს, მაგრამ მზად ვარ, თქვენი ცნობისმოყვარეობა ხვალაც დავაკმაყოფილო და ვარჯიშის შემდეგ ისევ შეგხვდეთო.

**მამუკა ქვანტალიანი**



ექიმები გიორგი ნემსაძეს დიაგნოზს დღეს დაუსვამენ



გიორგი დემეტრაძე



ალექსანდრე რეხვიაშვილი



ივო შუშაკი



## ორი ამბავი: აქეთური და იქითური

# შევარდნაძემ კალაძე არ იკადრა

# კუჩმამ შევჩენკო დიდი პატივით მიიღო





# კახა კალაძე: მიხარია, რომ ხალხს უხარია





მომღერალმა დათო გომართელმა კახა კალაძეს ახალი სიმღერის ჩანაწერი უსახსოვრა

კახა კალაძე გუშინ ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. საქართველოს ნაკრების დილის ვარჯიშამდე დილმის საწვრთნელ ბაზას სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი ესტუმრა და კახას ჯილდოც სწორედ მან, მთელი გუნდის თანდასწრებით ჩააბარა.

კახა კალაძე დაფასებისთვის, რა თქმა უნდა, მადლობელია, თუმც ცოტა გულდაწყვეტილიცაა...

— ჩვეულებრივ, როგორც ვიცი, სახელმწიფო ჯილდოს ქვეყნის პრეზიდენტი გადასცემს. დამსახურებას ოფიციალური ცერემონიით აღნიშნავენ. გორგასლის ორდენისთვის მადლობელი ვარ, მაგრამ ვფიქრობ, ეს ჯილდო კი არ გადმომცეს, გადმომიგდეს. ოფიციალური მიღების ნაცვლად ბაზაზე, შინაურულად დამაჯილდოეს. არადა, სწორედ დღეს დამირეკა ანდრეი შევჩენკომ და მითხრა, რომ მას უკრაინის პრეზიდენტი შეხვდა, წარმატება მიულოცა და მედალი თავადვე გადასცა, მე კი... გორგასლის ორდენი ჩემთვის ბევრს ნიშნავს, თუმც უფრო მეტად ქართველი ხალხის სიხარული მიღირს, მიხარია, რომ ჩემი წარმატება ხალხს უხარია... ქომაგების დიდი მადლობელი ვარ.

ქოგა ინასარიძე
ბადრი ქეთილაძის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ან იმედი, ან არაფერი
## 11 ივნისი გასატეხია



გიორგი ქინქლაძის ერთადერთმა გოლმა ივნისში სტუმრად უელსი დაგვამარცხებინა...

**ევროპის ჩემპიონატის** შესარჩევი ეტაპის კალენდარმა ერთადერთი საზაფხულო თამაში გვარგუნა. ამ თამაშამდე ოთხი დღეა დარჩენილი. 11 ივნისს ირლანდია საქართველოს დაუხვდება.

ჩვენი ჯგუფის დღევანდელმა სატურნირო მდგომარეობამ ისეთი ვითარება მოიტანა, რომ ეს თამაში გადამწყვეტია ქართველთათვის. ან იმედი, ან არაფერი. ეს სიტუაცია, შესაძლოა, მეათე ჯგუფის დღევანდელი ორი მატჩის შემდეგ ისეთი გახდეს, რომ ჩვენებს ჯგუფიდან გაღწევის ჩინებული შანსიც გაუჩნდეთ, ოღონდ საამისოდ ირლანდიაში წარმატებული თამაშია საჭირო.

ივნისში საქართველოს ნაკრებს აქამდე ათჯერ უთამაშია და ქვემოთ სწორედ ამ მატჩებზე ვთქვათ.

საივნისო თამაშებიდან 4 ამხანაგური იყო, დანარჩენი ოფიციალური, რომელთაგანაც ორჯერ ევროშესარჩევში ლვარეს ოფლი ქართველებმა, ოთხჯერ კი მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძოლეს.

აქვე ვთქვათ, საივნისო ოფიციალურ გასვლით მატჩებში ერთადერთხელ უმარჯვია „შინდისფერ ლეგიონს“ და სწორედ ის გამარჯვებაა პატარა, სიმბოლური იმედი ირლანდიასთან მატჩის წინ. სწორედ ივნისში დაამარცხეს ქართველებმა ირლანდიელთა შორსახლო მეზობელი უელსი. 1995 წლის 7 ივნისს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ალექსანდრე ჩივაძის გუნდმა გიორგი ქინქლაძის ერთადერთი გოლით მოიგო. 7 ივნისს კიდევ ერთი მატჩი უთამაშია ჩვენს გუნდს და წარმატებითაც. უელსში ჩაუქობიდან ორი წლის თავზე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ქართველებმა ბათუმში მოლდოვა დაამარცხეს.

11 ივნისი, ირლანდიასთან საოთხშაბათო მატჩის დღე კი წარუმატებელია ჩვენებურთათვის. ამ წარუმატებლობას ჯერ კიდევ პირველ საივნისო მატჩში დაედო სათავე. სწორედ 11 ივნისი იყო, ნიგერიაში რიხით ჩასული კავკასიელები მასპინძლებმა 5:1 რომ გაგულეს. სამი წლის წინ 11 ივნისსვე დავმარცხებულვართ ესტონეთთანაც და... ისევ 11 ივნისი და კვლავაც სტუმრად თამაში... თავი იმით დავიმშვიდოთ, რომ ნიგერიასთან და ესტონეთთან ამხანაგურად დავმარცხდით, ირლანდიასთან კი ოფიციალური შეხვედრა გვაქვს, მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი და ეგებ ისეც მოხდეს, იმედი შემოდგომამდე გაგვყვეს.

**პაატა ძმანტალიანი**

### საქართველო ივნისში

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 11/06/94 | ს | ამ | ნიგერია | 1:5 | რ. არველაძე |
| 10 | 26/06/94 | ს | ამ | ლატვია | 3:1 | დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული |
| 18 | 07/06/95 | ს | ევ | უელსი | 1:0 | ქინქლაძე |
| 32 | 07/06/97 | შ | მჩ | მოლდოვა | 2:0 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 33 | 14/06/97 | ს | მჩ | პოლონეთი | 1:4 | შ. არველაძე |
| 52 | 05/06/99 | შ | ევ | საბერძნეთი | 1:2 | ქეცბაია |
| 61 | 04/06/00 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:0 | |
| 62 | 11/06/00 | ს | ამ | ესტონეთი | 0:1 | |
| 70 | 02/06/01 | შ | მჩ | იტალია | 1:2 | გახოკიძე |
| 71 | 06/06/01 | ს | მჩ | უნგრეთი | 1:4 | კობიაშვილი |



– 2001 წლის ივნისში კი თბილისში საქართველო იტალიამ დაამარცხა



# გოლი ახალაიასთვის არახალია: ირლანდიას ირლანდიაშიც გაუტან
## აბა, გრეხეტბოლში მნახეთ, ვინა ვარ





რევაზ არველაძემ შეგირდები გრეხეტბოლშიც წაავარჯიშა

*21-წლამდელთა ვარჯიშს გუშინ „ნორჩი დინამოელის“ მინდორმა უმასპინძლა – წვრთნამ დაახლოებით საათს გასტანა.*

*ყველაზე საინტერესო კი ამ საათიან ბურთაობაში გრეხეტბოლი იყო – მინდორზე ორი გრეხეტბოლის მოედანი მოაწყვეს და ერთ-ერთ მათგანში ნაკრების დამრიგებელმა და მისმა თანაშემწემაც ივარჯიშეს.*

*თუმც ეს ვარჯიში კი არა, უფრო შეჯიბრი იყო. ერთ მხარეს იყვნენ რევაზ არველაძე, გოჩა ტყებუჩავა და ლადო ახალაია, მათი მეტოქენი კი ედიკ საჯაია, გოჩა ხოჯავა და გიორგი ჭელიძე გახლდნენ – ბადის იქით ბურთის გადაგდებაში არველაძის სამეულმა იმარჯვა. საერთოდ, არველაძე-ტყებუჩავას შეგირდებთან გრეხეტბოლში არასდროს წაუგიათ.*

*გუშინდელ ვარჯიშსაც ვერ დაესწრო გიორგი ციმაკურიძე – უკრაინული „სტალის“ მცველი წუხელ ჩამოვიდა თბილისში.*

*ინდივიდუალურად და მსუბუქად ივარჯიშა მიხეილ ბობოხიძემ, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებს, მაგრამ არა ისეთი, ირლანდიასთან 10 ივნისს რომ ვერ ითამაშოს*



ლადო ახალაია

თბილისში ირლანდიის კარში გოლის გამტან **ლადო ახალაიას** კი ნავარჯიშევს გავესაუბრეთ.

— ვეცდები, სტუმრადაც გავუტანო გოლი ირლანდიელებს და ალბათ გავიტან კიდეც. მე თუ ვერ შევძელი, რომელიმე ჩვენგანი მაინც გაუტანს — ჩვენ უბრალოდ სხვა გზა არ გვაქვს — ძალიან მცირე შანსი შეგვრჩა და ის უნდა გამოვიყენოთ.

**— თბილისში ირლანდიას თავით გაუტანე ბურთი — ბრიტანელებს რომ ეთამაშებით ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტოქეს მეორე სართულზე უპირატესობა აქვს?**

— ირლანდიას თავითაც უნდა მოვუგოთ და ფეხითაც. მათ არანაირი უპირატესობა არა აქვთ მეორე სართულზე — ჩვენ მაღალი და კარგი მცველები გვყავს.

**— თბილისური მატჩისგან განსხვავებით ირლანდიასთან ახლა დავით სირაძისა და მალხაზ ასათიანის გარეშე მოგიწევთ თამაში...**

— დანაკლისი დიდია, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსაც ვეცდებით.

**— ახალგაზრდულების მატჩებზე ისეთი აჟიოტაჟი არ არის, როგორიც პირველ ნაკრებზე, სტუმრად რომ თამაშობთ არც ეს არ აძლევს უპირატესობას მეტოქეს?**

— ირლანდიაში არასდროს მითამაშია, მაგრამ ამ მატჩს ალბათ საკმაოდ დიდ მნიშვნელობას მიანიჭებენ და მეტოქე შინ რომ თამაშობს, ეს მას დიდ უპირატესობას აძლევს.

**— თავდასხმაში პარტნიორად მიხეილ ბობოხიძეს ისურვებდი?**

— ბობოხიძესთან სხვებზე უფრო უკეთ ვარ შეთამაშებული და ერთმანეთს კარგად ვუგებთ. კლუბშიც ხომ ერთად ვთამაშობთ და ნაკრებში მასთან თამაში მიადვილდება.

**დავით თავართქილაძე**

**გურამ დოლენჯაშვილის** *ფოტოები*

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

# ირლანდია ალბანეთს ელის და ასათიანზე ლაპარაკობს

### ირლანდია – ალბანეთი

**ირლანდია**

*მეკარეები: შეი გივენი (ნიუკასლი, ინგლისი), ნიკ კოლგანი (ჰიბერნიანი, შოტლანდია), ჯო მერფი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი);*
*მცველები: სტივენ კარი (ტოტენჰემი, ინგლისი), იან ჰარტი (ლიდსი, ინგლისი), ჯონ ოში (მანჩესტერი, ინგლისი), რიჩარდ დანი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), გარი ბრინი (ვესტ ჰემი, ინგლისი), კენი კანინგემი (ბირმინგემი, ინგლისი);*
*ნახევარმცველები: ლი კარსლი (ევერტონი, ინგლისი), მეტ ჰოლანდი (იფსვიჩი, ინგლისი), მარკ კინსელა (ასტონ ვილა, ინგლისი), ალან ქუინი (შეფილდ უენსდი, ინგლისი), კევინ კილბეინი (სანდერლენდი, ინგლისი), სტივენ მაკფაილი (ლიდსი, ინგლისი), კოლინ ჰელი (სელტიკი, შოტლანდია);*
*თავდამსხმელები: სტივენ რიდი (მილუოლი, ინგლისი), დემიენ დაფი (ბლექბერნი, ინგლისი), გლენ ქროუ (ბოჰემიანსი), დევიდ კონოლი (უიმბლდონი, ინგლისი), გარი დოჰერტი (ტოტენჰემი, ინგლისი), ალან ლი (როტერჰემი, ინგლისი), რობი კინი (ტოტენჰემი, ინგლისი)*

**ალბანეთი**

*მეკარეები: ფოტო სტრაკოშა (კალითეა, საბერძნეთი), არიან ბექაი (ოფი, საბერძნეთი), ილიონ ლიკა (დინამო);*
*მცველები: რუზარტ დაბულა (ტირანა), ელვინ ბექირი (ვლაჟნია), გერი ჩიპი (გენტი, ბელგია), არიან ალიაი (შარლერუა, ბელგია), ერვინ ფაკაი (დუისბურგი, გერმანია), ნევილ დედე (ტირანა);*
*ნახევარმცველები: კლოდიან დური (პარტიზანი), ბესნიკ ჰასი (ანდერლეხტი, ბელგია), ალტინ ლალა (ჰანოვერი, გერმანია), ედვინ მურატი (ირაკლისი, საბერძნეთი), ერვინ შკელა (აინტრახტი, გერმანია), არიან ბელაი (პანიონისი, საბერძნეთი), ბლედი შკუმბი (რიეკა, ხორვატია), მეჰმეთ დრაგუშა (ტრირი, გერმანია), ლორიკ კანა (პსჟ, საფრანგეთი);*
*თავდამსხმელები: იგლი ტარე (ბრეშა, იტალია), ალტინ რაკლი (დიარბაქირი, თურქეთი), ალბან ბუში (ტრაბზონი, თურქეთი) ფლორიან მურტაი (ჩეზენა, იტალია), ერიონ ბოგდანი (რეჯინა, იტალია)*

**გახსოვთ,** როგორ დაიწყო ირლანდიამ? 2:4 რუსეთთან და 1:2 შინ შვეიცარიასთან. ამ შედეგებს ცნობილი მწვრთნელი მიკ მაკარტის თანამდებობა ემსხვერპლა, მაგრამ დადგა 2003 და ახალი თავკაცის, ბრაიან კერის ხელმძღვანელობით ირლანდიელებმა თბილისში, საქართველოს 2:1 მოუგეს, ხოლო ალბანეთში 0:0 ითამაშეს.

ახლა კერი ამ ორ მეტოქეს შინ ელის და აუცილებლად უნდა მოიგოს — ასე ესმით ამ მატჩების მნიშვნელობა დუბლინში.

საალბანეთოდ კერიმ კარგი ამბები შეიტყო — მეკარე შეი გივენი, ნახევარმცველი სტივენ მაკფეილი და გარემარბი სტივენ რიდი გამოჯანმრთელდნენ. ერთადერთი, გლენ ქროუმ იტკინა მუხლი და ვერ ითამაშებს.

ამბობენ, რომ ირლანდია სამკაციან თავდასხმაზე აგებს იმედებს — დემიენ დაფი უკან, რობი კინი და დევიდ კონოლი წინ — როგორც ეს ნორვეგიასთან ამხანაგურ შეხვედრაში იყო.

მაგრამ, თუ ტელეკომპანია BBC-ს ვენდობით, დუბლინში საგანგებო აქცენტს საქართველოსთან თამაშზე აკეთებენ და ხშირად ახსენებენ რუსეთის დამმარცხებელ მალხაზ ასათიანს. ამბობენ იმასაც, რომ ქართველებს მათთან სათამაშოდ „მილანის“ და „გლაზგო რეინჯერსის“ ფეხბურთელები, კახა კალაძე და შოთა არველაძე ჩაჰყავთ.

„საქართველო ამჯერად მხოლოდ ერთი თამაშისთვის ემზადება და ეჭვი არ არის, უფრო დასვენებული იქნება — ამბობს კერი — ასე რომ, არ უნდა დაგვავიწყდეს, ალბანეთის შემდეგ გუნდის დასვენება გვესაჭიროება. ჩვენი დიდი უპირატესობა შინ, ფანების მხარდაჭერით თამაშია“.

დასვენებამდე კი ირლანდიელები ალბანეთთან დიდი ძალების დახარჯვას ფიქრობენ, რადგან იციან, რომ ამ გუნდს უფრო ძლიერად უნდა ეთამაშონ, ვიდრე ტირანაში.

„შემადგენლობის რა მოგახსენოთ, მაგრამ ბევრი რამ სხვანაირად იქნება, — აცხადებს კერის ასისტენტი ნოელ ორეილი — იქ, პირველ შეხვედრაში, საქართველოდან ალბანეთამდე მგზავრობით დაღლილებმა ცუდად ვითამაშეთ“.

**პაპუნა ძიდია**



ტრავმირებული გლენ ქროუს დებიუტი დროებით გადაიდო


ალბანეთში ირლანდიამ ქულალა იგმარა

# რუსები შვეიცარიაში ორი გაზაევით ჩავიდნენ

## ვის დაუფრთხება ანგელოზები წმინდა იაკობზე: მშვიდ შვეიცარიელებს თუ დაჭრილ მხეცებს?

### შვეიცარია – რუსეთი

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შვეიცარია:** შტილი, ჰაასი, მიულერი, მ. იაკინი, მანინი, რამა, ფოგელი, ჰ. იაკინი, ვიკი, შაპუიზა, ფრეი
**რუსეთი:** ოვჩინიკოვი, კოვტუნი, იგნაშევიჩი, ევსიკოვი, სმერტინი, ალდონინი, კარიაკა, იანოვსკი, გუსევი, სემაკი, ბულიკინი



იაკობ კუნი ზედიზედ ორჯერ დამარცხებულ ვალერი გაზაევს უფრთხის

**ამ მატჩის** წაგება დაუშვებელია... ნუ დაბრუნდებით დამარცხებულნი... ბაზელი ჩვენი ბოლო შანსია — ასეთი სიტყვებით გააცილეს გუშინ რუსეთის ნაკრები შვეიცარიაში.

მასპინძელთაგან განსხვავებით, ბაზელურ მატჩს რუსთათვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს. რაღა თქმა უნდა, მიზეზი სატურნირო ვითარებაა: ჯგუფის ლიდერ 8-ქულიან შვეიცარიას ერთი-ორი წაკუნტრუშების საშუალება კიდევ აქვს, გაზაევის სამწყსო კი წაგების შემთხვევაში, ფაქტობრივად, დაკარგავს პორტუგალიისკენ სავალ გზას.

დღეს ბოლო შანსი აქვს თავად გაზაევსაც. ბაზელის წმინდა იაკობის სახელობის სტადიონზე რუსთა დამარცხების შემთხვევაში წმინდანებიც ვერ იხსნიან ულვაშა მწვრთნელს საყოველთაო რუსული რისხვისგან. შვეიცარიასთან წაფორხილება გაზაევს ნაკრებში სამუშაოს დაკარგვასაც უქადის, ამიტომაც იყო, გადამწყვეტი ომის წინ დიდი მობილიზაცია რომ გამოაცხადა ვალერი გეორგიევიჩმა.

გუშინდლამდე რუსები მოსკოვის ახლოს, ბორში იყვნენ გამოკეტილნი. საწვრთნელ ბაზაზე ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა, მაგრამ შვეიცარიაში გამგზავრების წინ ერთი კაცისთვის მაინც გაიღო რუსთა ბანაკის კარი. ის გაზაევის დიდმოხელე მეგობარი სერგეი სტეპაშინი გახლდათ. სტეპაშინი ოფიციალური ვიზიტით ეწვია ნაკრებს და თქვა, კარგი ფეხი მაქვსო, რამდენჯერაც ფეხბურთელები გავამხნევე, იმდენჯერ მოიგო ჩემმა გუნდმა და გამონაკლისი რაღა ახლა მოხდებაო. სანაკრებოდ მოცლილმა სტეპაშინმა რუსთა ნაკრებს საჩუქრად კერამიკული ფიგურა გადასცა, გაზაევს მაგონებს და წარმატებას მოგიტანთო.

მოკლედ, ჩვენთან მარცხნაჭამ რუსებს ორი გაზაევი ეყოლებათ ბაზელში და ვნახოთ, აქედან რა გამოვა. სპეციალისტთა ვარაუდით, მწვრთნელი გაზაევი 4-5-1 სქემით გააწყობს გუნდს. ულვაშამ რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში ამ ტაქტიკით ათამაშა ცსკა სამარაში და 2:0 გაამარჯვებინა. გაზაევმა იმ მატჩის კომენტარისას თქვა, არ არის გამორიცხული, ბაზელშიც ასე ვითამაშოთ, გასვლითი მატჩია და მეტი სიფრთხილე გვმართებსო.

დღეს რუსებს 33 წლის ვიქტორ ონოპკო არ ეყოლებათ. ნაკრებში 104 მატჩის ჩამტარებელი მცველი ვარჯიშისას დაშავდა და ტრავმამ ისიც ათქმევინა, ქვეყნის უპირველეს გუნდში თამაშს თავს ვანებებო.

თბილისში წაგებისას გაზაევმა ალენიჩევზე, ტიტოვსა და იზმაილოვზე გადატეხა ჯოხი, შესაბამისად, ესენი საშვეიცარიო სანაკრებო სიაში ვერ მოხვდნენ. ბაზელში გამგზავრების წინ სალაპარაკო გამხდარა, მწვრთნელი თავბედს აწყევლინებს ფეხბურთელებს, ისე ტვირთავს ვარჯიშებზეო. ამ სიტყვებს კოლოსკოვის ყურამდეც მიუღწევია და შეშფოთებულა რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავკაცი, თუმც სიტუაცია თავად ფეხბურთელებმა შეარბილეს ინტერვიუებში, გაზაევი ჩვეულებრივად გვავარჯიშებს, მხნედ ვართ და შვეიცარიას ბლეჯირს ვადენთო.

ტრადიციული საქმიან-იმედიანი სიტუაციაა შვეიცარიელთა ბანაკშიც. კუნმა ფეხმტკივანი მარიო კანტალუპი მოისაკლისა, მაგრამ დანარჩენების იმედება. სტეფან შაპუიზა, ბერნტ ჰაასი და პატრიკ მიულერი დარწმუნებულნი არიან გამარჯვებაში. გამორჩევით კარგ ფორმაშია ალექსანდრ ფრეი. რუსებს უეჭველად გაუტანსო, ირწმუნებიან შვეიცარიელი ჟურნალისტები.

აქვე ისიც ვთქვათ, რ[illegible] დაშავებული კანტალუპის ნაცვლად [illegible]ეიცარიელთა განაცხადში მილაინ რამა მოხვდა, ეს კაცი ტომით ალბანელია, მაგრამ ახლახან მიიღო შვეიცარიის მოქალაქეობა და დიდი გეგმებიც ჰქონია. კუნი თუ მენდო, თავს გამოვიჩენო, იქადნება რამა.

თავად იაკობ კუნმა რუსთა ნაკრები დაჭრილ მხეცს შეადარა, გაზაევის გუნდი ზედიზედ ორჯერ დამარცხდა და ჩვენს შეჭმას ეცდებაო. კუ[illegible] ისიც თქვა, პორტუგალიაში წასასვ[illegible]ლად ჩვენი ჯგუფის ხუთივე წარმომადგენელს მეტ-ნაკლებად თანაბარი შან[illegible] აქვს და რუსეთთან გამარჯვება [illegible] [illegible]ურენტების ჩამოსაშორებლად დიდ [illegible] სახურს გაგვიწევსო.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ 30 500-იან „წმინდა იაკობზე“ უკლებლივ ყველა ბილეთი გაყიდულია.

**პაატა ძვანტალიანი**


ვიქტორ ონოპკოს ტრავმა რუსებს ვერ მოუნელებიათ

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| რუსეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 9:7 | 6 |
| ალბანეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| ირლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| საქართველო | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |

**დარჩენილი მატჩები**

დღეს
შვეიცარია — რუსეთი
ირლანდია — ალბანეთი

11 ივნისი
ირლანდია — საქართველო
შვეიცარია — ალბანეთი

6 სექტემბერი
ირლანდია — რუსეთი
საქართველო — ალბანეთი

10 სექტემბერი
რუსეთი — შვეიცარია
ალბანეთი — საქართველო

11 ოქტომბერი
რუსეთი — საქართველო
შვეიცარია — ირლანდია



# აშვეთია-ცსკა ჩაიშალა

## ქართველი თავდამსხმელი ვლადიკავკაზში დარჩენას არ აპირებს

*საქართველოს ნაკრების თავდამსხმელ მიხეილ აშვეთიას მოსკოვის ცსკა-ში გადასვლა საბოლოოდ გამოირიცხა. არადა, რამდენიმე დღის წინ ჩვენებურის გაარმიელება თითქმის გადაწყვეტილ ამბად ჩანდა. ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას" ქართველი თავდამსხმელი ორიოდ დღეა, მოსკოვიდან ოსეთში დაბრუნდა. აშვეთიას მოსკოვში დარჩენის მიზეზი იოლი მისახვედრია. ცსკა ჩვენებურთან ურთიერთობის გარკვევას ცდილობდა, მაგრამ შეთანხმების მიღწევა არ მოხერხდა.*

*ახლა მიხეილ აშვეთია ისევ „სპარტაკ-ალანიაში" ვარჯიშობს, თუმც, როგორც თავად გვითხრა, ამ კლუბში მისი დღეები დათვლილია. მსურველი კლუბების რიგი კი ჯერაც საკმაოდ გრძელია.*

*გუშინ მიხეილ აშვეთიას ვლადიკავკაზში დავუკავშირდით.*

— ჯერჯერობით ახალი არაფერია. ორიოდ დღეა, მოსკოვიდან დავბრუნდი და ახლა „სპარტაკ-ალანიასთან" ერთად ჩვეულად ვემზადები.

**— მოსკოვში შენი ყოფნის შესახებ უკვე ვიცით. რატომ დაბრუნდი ხელცარიელი?**

— ახლა ნაღდად ვერაფერს გეტყვით. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ცსკა-სთან შეთანხმება ვერ მოხერხდა. ამის გამო ჩამოვედი ვლადიკავკაზში. ამ ეტაპზე მეტი არაფერი ვიცი.

**— ცსკა-სთან მოლაპარაკებას თავად ესწრებოდი?**

— არა. მე მოსკოველებს არ შევხვედრივარ. მოლაპარაკებას ვლადიმერ გუცაევი ესწრებოდა. მისგან ვიცი, რომ მხარეები პირობებზე ვერ შეთანხმდნენ.

**— ახლა რას აპირებ?**

— სატრანსფერო ფანჯრის გახსნას დაველოდები. წინადადებები კიდევ მაქვს და მოლაპარაკებებიც მალე დაიწყება.

**— როგორც გავიგეთ, შენს გადაბირებას სანკტ პეტერბურგის „ზენიტი" და „როსტოვი" აპირებენ. მართალია?**

— დიახ, ეს გუნდებიც აქტიურობენ და სხვებიც. კონკრეტულს მეტს ვერაფერს გეტყვით.

**— ცსკა-ში შენი გადასვლა უკვე გადაწყვეტილი გვეგონა...**

— მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ რას ვიზამ. ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გინდა.

**— ბერძნული „ოლიმპიაკოსი" არ დაგკავშირებია?**

— „ოლიმპიაკოსის" დაინტერესება ჯერაც რეალურია. დანარჩენს მოლაპარაკებები გვაჩვენებს. ამიტომ აჯობებს, სატრანსფერო სეზონის გახსნას დაველოდოთ. ალბათ, ერთ კვირაში ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა.

**— ესე იგი, ვლადიკავკაზს მაინც ტოვებ?**

— „სპარტაკ-ალანიას" უეჭველი დავტოვებ.

**— რატომ გადაწყვიტე ასე კატეგორიულად კლუბის გამოცვლა?**

— საერთო სიტუაციასთან ერთად ამ კლუბს სატურნირო ვითარებაც გაუროთულდა. თამაშების მოგებას ველარ ვახერხებთ და ასეთ მდგომარეობაში აქ დარჩენა კარგს არაფერს მომიტანს. ამიტომ უკეთესი იქნება, თუ აქაურობას გავეცლები.

**— თან „სპარტაკ-ალანიადან" რევაზ ძოძუაშვილიც წავიდა...**

— რა თქმა უნდა, მისი წასვლაც მეტყველებს იმაზე, რომ აქ რთული ვითარებაა, თუმც მე მანამდეც ვაპირებდი კლუბის გამოცვლას.

**ბაჩა შალამბერიძე**

# კვერცხი ბუდეში დაბრუნდა



კარსტენ იანკერი გერმანიაში დაბრუნდა

გერმანიის ტერიტორიაზე რამდენიმე ფეხბურთელის გადაადგილებაზე, ანუ სატრანსფერო ამბებზე მოგახსენებთ.

მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველი ნიკო კოვაჩი კარიერას ბერლინის „ჰერტაში" გააგრძელებს. „ბაიერნი" იმ მაღალხელფასიანი მოთამაშეების გაშვებს აპირებს, რომლებიც უმეტესად სათადარიგოთა სკამს ამშვენებენ. „პირველი მსხვერპლი" ნიკო კოვაჩია. 31 წლის ფეხბურთელი თავის ძველ გუნდს დაუბრუნდა, სადაც 1991 წელს თამაშობდა. მაშინ, „ჰერტა" მეორე ბუნდესლიგის ბინადარი იყო. ხუთი წლის შემდეგ ხორვატი ლევერკუზენის „ბაიერში", იქიდან 1999-ში „ჰამბურგში", რი წლის წინ კი, „ბაიერნში" გადაბარგდა.

„ბაიერნიდან" თუ სხვა გერმანულ გუნდში გადახვალ, იმას ნიშნავს, რომ გაცილებით ნაკლები ჯამაგირი გექნება — თქვა კოვაჩის აგენტმა იურგენ მილევსკიმ. ხორვატ ნახევარმცველს თავისი ქვეყნის ნაკრებში 26-ჯერ უთამაშია. ბერლინის „ჰერტა" ამ სეზონში მეხუთე ადგილზე გავიდა და შემოდგომიდან უეფას თასის მაძიებლებს შეუერთდება.

სამშობლოს დაუბრუნდა „ადამიანი-კვერცხი" — კარსტენ იანკერი. მან იტალიურ „უდინეზეში" ერთი წელი დაჰყო, მაგრამ თავი დიდად ვერ გამოიჩინა. იანკერი ლევერკუზენის „ბაიერს" შეეკედლება. ფარმაცევტთა მთავარი მწვრთნელის თქმით, ფორვარდი მათ გუნდს აშკარად სჭირდებოდა. მით უმეტეს, რომ ულფ კირსტენი ბუცებს ჩამოკიდებს, ოლივერ ნოივილი და ტომაშ ბრდარიჩი კი შესაძლოა „ბაიერიდან" წავიდნენ.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელმაც ალაგი გამოიცვალა, 34 წლის მარტინ მაქსი გახლავთ. იგი „მიუნხენ 1860"-დან როსტოკის „ჰანზაში" გადავიდა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მას 363 ბუნდესლიგურ მატჩში 100 გოლი გაუტანია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რონალდინიო დაფლითეს

რონალდინიოს გარშემო ისეთი აბლაბუდა გაება, რომ ამ საქმეში დაოსტატებულ ობობასაც კი შეშურდება.

ზოგიერთი წყაროს ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედმა" ბრაზილიელის სანაცვლოდ 9 მილიონი ევრო გადათვალა და მომავალ კვირაში „რონის" „ოლდ ტრეფორდს" წარუდგენენ. გუნდში რონალდინიოს ხილვა თურმე მანჩესტერელთა ფანებსაც გულით სწადიათ. თითქოს ფეხბურთელის ძმა (რომელიც ძმობის გარდა აგენტიცაა) ინგლისური კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კინიონმა შეახუჭუჭა და დაიყაბულა კიდეც, მაგრამ ამ საქმეს მხოლოდ აგენტი ვერ გადაწყვეტს.

პსჟ-ს პრეზიდენტმა ფრანსის გრეიმ „ეკიპთან" საუბარში განმარტა: „პიტერ კინიონი ნამდვილად იყო პარიზში ჩამოსული. ჩემთან შეხვედრას ლამობდა, მე კი უარით გავისტუმრე და სხვა მანჩესტერელი ოფიციალური პირები არსად არ მინახავს, არც წერილით მოუმართავთ და ტრანსფერზე არც ტელეფონით გვისაუბრია. შუამავლებით ლაპარაკი არ მიყვარს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „რონი" აქ უნდა დარჩეს. რა თქმა უნდა, შესაძლოა, ყველაფერი შეიცვალოს, მაგრამ მას კლუბთან 2005 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი."

ბრაზილიელი გასაშვებად ახალ მწვრთნელს, ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩსაც არ ემეტება: „ასტრონომიული თანხაც რომ შემოგვთავაზონ, უარით გავისტუმრებთ. რონალდინიოს პირადად ვესაუბრე და დარჩენა ვთხოვე. ვიცი, მას წასვლა სურს და ამის შესახებ კიდეც მითხრა, მაგრამ მე სამომავლოდ პსჟ-ს აწყობას სწორედ რონალდინიოს გარშემო ვაპირებ."

**ვაჟა ხუციშვილი**





# თურქებმა ქემოკლიძე სტამბოლში ისე ჩაიყვანეს, რეზოს არაფერი გაუგია

*გუშინ თურქულ პრესაში რევაზ ქემოკლიძის სატრანსფერო ამბებზე დაიწერა. „ქოჯაელისფორის" ქართველი მცველის შეძენა „ისთანბულსფორს" სურსო. შარშან ქუთაისის „ტორპედოდან" თურქული სუპერლიგის მაჩანჩალა გუნდში გადასული ქემოკლიძის გადაბირება მანამდე „ქოჯაელისფორის" მეორე ჩვენებურ გივი დიდავასთან ერთად „ტრაბზონსფორმაც" მოინადინა, მაგრამ ფაქტი სხვა რამეს ლალადებს — რევაზ ქემოკლიძე ჯერჯერობით უკლუბოდაა.*

*„ისთანბულისფორის" დაინტერესების შესახებ ცნობა ტყუილი გამოდგა. ყოველ შემთხვევაში, თავად ქემოკლიძემ ჩვენთან საუბარში ეს ყველაფერი უარყო. აი, რა გვითხრა გუშინ რეზომ სატელეფონო საუბრისას.*

— „ისთანბულისფორზე" საუბარი არ ყოფილა. ჯერჯერობით არ ვიცი, სად გავაგრძელებ კარიერას.

**— თურქულ პრესაში წერია, რომ თითქოს „ისთანბულისფორის" პრეზიდენტსაც კი შეხვდი...**

— ტყუილია. ასეთი არაფერი მომხდარა.

**— „ტრაბზონსფორის" ვარიანტსაც გამორიცხავ?**

— ამ კლუბის დაინტერესებაზე მართლაც წერდა თურქული ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ პირადად არავინ დამკავშირებია. ასე რომ, რაიმე კონკრეტულის თქმა არ შემიძლია.

**— თითქოს თავად „ქოჯაელისფორსაც" სურდა შენი დატოვება...**

— ასეთი სურვილი, ალბათ, მართლაც იყო, მაგრამ მე სხვაგვარად ვფიქრობ.

**— ესე იგი, „ქოჯაელს" საბოლოოდ გაეყარე?**

— ამ კლუბთან კონტრაქტი დამითავრდა და ახლა თავისუფალი ვარ. ამჟამად მხოლოდ ჩემს მომავალზე ვფიქრობ. „ქოჯაელში" დარჩენა გამორიცხულია.

**— რაიმე ვარიანტები გაქვს?**

— არის რაღაც ვარიანტები, მაგრამ წინასწარ არაფრის თქმა არ მსურს.

**— მაინც როგორ ფიქრობ, სად გააგრძელებ კარიერას, საქართველოში თუ უცხოეთში?**

— ჩემი სურვილია, უცხოეთში ვითამაშო, მაგრამ არც საქართველოა გამორიცხული. თუ სერიოზული წინადადება მივიღე, აუცილებლად დავფიქრდები.

**ბაჩა შალამბერიძე**



„იუვეტუსის" გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ იტალიის ახალშეძენილი მანუელე ბლაზი წარუდგინა



# ტრანსფერები იტალიურად

## იუვენტუსი კორადის, ფიორეს და სტამს უარყოფს, ბლაზის ადასტურებს

## მილანში გალიანის აღარ სჯერათ



ნიკოლა ლეგროტალიე



ადრიანო გალიანი

„იუვენტუსი" კატეგორიულად აცხადებს, რომ ამ სატრანსფერო სეზონში სულ რამდენიმე ფეხბურთელს იყიდის და, შესაბამისად, მასთან დაკავშირებული ჭორების უდიდესი ნაწილი ტყუილია.

„ფაქტობრივად, სულ სამი სიახლე იქნება, — თქვა ტურინელთა გენერალურმა დირექტორმა, ლუჩანო მოჯიმ, — მანუელე ბლაზი უკვე აქ არის, მის გარდა კი ფაბრიციო მიკოლი და ენცო მარესკა დაგვემატებიან".

ახლა ჭორებზე: ამბობდნენ, რომ „ბებერი ქალბატონი" „ლაციოდან" ჰოლანდიელი იაპ სტამის, სტეფანო ფიორესა და ბერნარდო კორადის წაყვანას ფიქრობდა. თითქოს მასვე სურდა „კიევოდან" ნიკოლა ლეგროტალიეს გადაბირება და „უდინეზეს" დავიდ პიზაროს სთხოვდა.

„ჩვენ მდიდარი კლუბი გვყავს, რომელსაც სურს ფეხბურთელებს ხელფასები რეგულარულად უხადოს. ამასთან ჩვენი სტრატეგია ნათელია, ამიტომ ამა თუ იმ მოთამაშის გარშემო აგორებული ჭორი სიყალბეა და მეტი არაფერი" — განაგრძო მოჯიმ.

რაც შეეხება მანუელე ბლასის, იგი იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრია, რომელიც „პერუჯაში" თამაშობდა.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა კლუბმა მიყიდა, მაგრამ ისიც ვიცი, რომ იქ დამკვიდრება უძნელესი საქმე იქნება" — განაცხადა ბლაზიმ, მოგიმ კი დასძინა:

„ის ჩინებული მოთამაშეა და ამიტომ გავუფორმეთ ხუთწლიანი კონტრაქტი. მისი ყიდვა ნათლად ადასტურებს სამომავლოდ რა გზასა და სტრუქტურას ვირჩევთ".

ზემოთ „კიევოს" წამყვანი ფეხბურთელი ნიკოლა ლეგროტალიე ვახსენეთ. უნდა დავძინოთ, რომ მის გარშემო ატეხილმა ამბავმა ვერონული კლუბი ძლიერ გააღიზიანა. მის სახელს „იუვენტუსის" გარდა „რომასთანაც" აკავშირებდნენ.

„კიევოს" დირექტორი, ჯოვანი სარტორი: „ლეგროტალიეზე" ძალიან კონკრეტული მოსაზრება გვაქვს, მაგრამ მის შეძენასთან დაკავშირებით ოფიციალურად არავის მოუმართავს. მიუხედავად ამისა, მე და „რომას" წარმომადგენელი ფრანკო ბალდინი სულ მალე ვაპირებთ შეხვედრას. დავაზუსტებ, რომ ცნობა, თითქოს ჩვენ მხოლოდ ფული გვაინტერესებდეს, ტყუილია. „კიევო" მზად არის ფეხბურთელი ფეხბურთელში გაცვალოს, თან ამთავითვე ცნობილია, რომ დიდ ვარსკვლავს არავინ შემოგვთავაზებს. ჩვენ უფრო დაბალხელფასიან მოთამაშეებს ვეძებთ, ნიჭიერ ახალგაზრდებს. მაგალითად, ძალიან მოგვწონს 19 წლის დანიელე დე როსი, მაგრამ ეჭვი გვეპარება, რომ „რომა" დაგვითმობს, ხოლო თუ ვერავის ვერაფერზე მოველაპარაკებით, მაშინ ლეგროტალიეს დავიტოვებთ და ის იქნება",

ამასობაში, იტალიის კიდევ ერთი უძლავრესი კლუბი, „იუვეს" შემდეგ მეორე ადგილზე გასული „ინტერი" არგენტინელ მწვრთნელს, ექტორ რაულ კუპერს ინარჩუნებს და ხელს უწყობს.

„ბოდიშს ვიხდი, რამდენიმე ადრეული გამონათქვამი მეტისმეტად მკაცრი გამომივიდა, მაგრამ მერწმუნეთ, კუპერის გაშვება ერთხელაც არ გამივლია გუნებაში — ასე ბრძანა თვით კლუბის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ — კუპერი არათუ დარჩება თანამდებობაზე, არამედ ყველა პირობა შეექმნება".

გამოცხადდა, რომ ამიერიდან კუპერს ასისტენობას ახალი სპეციალისტი, ახალგაზრდული გუნდის თავკაცი კორადო ვერდელი გაუწევს. ყმაწვილმა შავლურჯებმა ვერდელის ხელმძღვანელობით კინაღამ თანატოლთა შორის ჩემპიონობას გამოჰკრეს ხელი — სამშაბათს „ლეჩესთან" 2:3 რომ არ წაეგოთ, მინი სკუდეტოს მოიპოვებდნენ.

მორატიმ დასძინა, რომ პარმელი ადრიანოს გადაყვანა ერთი წლით გადაიფიქრა, ასე რომ, ბრაზილიელი „პარმაშივე" დარჩება, ხოლო ჭორს თითქოს „რომასგან" ვინჩენცო მონტელას ყიდულობს, ასე უპასუხა:

„ჩვენ ახალი თავდამსხმელები არ გვჭირდება".

და ისევ „სან სიროზე" დავრჩეთ, ოღონდ ახლა „მილანის" ამბებს ჩავხედოთ. კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ადრე ქომაგებს ერთი დიდი ტრანსფერი აღუთქვა და ყველამ ბექემი წარმოიდგინა. საბოლოოდ გალიანის გამოსვლა და ხალხისთვის იმის განმარტება მოუხდა, რომ ინგლისელს იმდენი ბიზნეს-კონტრაქტი აკავშირებს „მანჩესტერ იუნაიტედთან" და სპონსორებთან, რომ მისი წამოყვანა შეუძლებელია.

ვინ დაუჯერა. იმწუთას გაიხსნეს, რომ ვიცე-პრეზიდენტი შარშან ამ დროს ალესანდრო ნესტაზე ამბობდა იმავეს, მერე კი იყიდა. ეს კიდევ არაფერი, როდესაც ბექემისა და მადრიდის „რეალის" შესაძლო გარიგებაზე გავარდა ხმა, მილანში ჭორი დაირხა, თუ ინგლისელს „რეალი" წაიყვანს, ჩვენ ლუიშ ფიგუ გვერგებაო.

**პაპუნა ძედია**

# ნუ წახვალ, არსენ!

## ანრის მონოლოგი და პირესის ნოველა

არსენ ვენგერი ფიქრობს. ის შვებულებაშია. შვებულებიდან რომ დაბრუნდება, მერე გადაწყვეტს, წავიდეს თუ არა მადრიდის „რეალში" სამუშაოდ.

სანამ ვენგერი ფიქრობს, ფეხბურთელები დარჩენას სთხოვენ. დაახლოებით იგივე ვითარებაა მადრიდშიც. „რეალის" მოთამაშეებს გუნდის თავკაცად კვლავაც ვისენტე დელ ბოსკეს ხილვა სურთ. ულვაშების ცმაცუნის ყურებას მიეჩვივნენ.

მთავარმეთოფე ტიერი ანრიმ მონოლოგი „გაჩარხა": „კლუბის ბოსებმა ყველაფერი უნდა ილონონ გუნდში ვენგერის დასატოვებლად. „რეალში" მის გადასვლას ჩვენ ვერ გადავიტანთ. ეს უდიდესი დანაკლისი იქნება. „არსენალის" ბოლოდროინდელი წარმატებები ფრანგი მწვრთნელის ნიჭის ნაყოფია. მასთან მუშობა უდიდესი სიამოვნებაა და დასანანი იქნება, თუ დაგვტოვებს. შექმნიან უკეთესი პირობები, ვიდრე „რეალი" სთავაზობს. ვენგერთან ერთად „არსენალი" ჯილდოებს კიდევ მოიგებს".

ეს იყო სიტყვა ანრის ნათქვამი, ხოლო მათ, რომელთაც ვერ თქვეს, მწვრთნელს წერილი მისწერეს. ასე მოიქცნენ კაპიტანი პატრიკ ვიეირა და რობერ პირესი.

არსენ ვენგერი წერილებს კითხულობს და ფიქრობს.

**ვაჟა ხუციშვილი**



არსენ ვენგერი რობერ პირესს და ტიერი ანრის „რეალისთვის" არ ემეტებათ



# ჰარი რედნაპი პრემიერლიგას ჰოლანდიით აშინებს

**პრემიერლიგაში** აღზევებული „პორტსმუთი" გაძლიერებაზე ზრუნავს. მთავარ მწვრთნელ გარი რედნაპს სამი ფეხბურთელი უკვე შეუგულებია, პრემიერლიგაში გუნდს ბობოლებთან ჯაჯგური მოუწევს და საამისოდ მოლონიერებაა საჭირო.

გარი რედნაპმა ერთი მოთამაშე უკვე დაიბევა. „იფსვიჩის" კაპიტანი მეტ ჰოლანდი მომავალი სეზონიდან „პორტსმუთის" მაისურას მოირგებს. მის სანაცვლოდ 750 ათასი გირვანქის გადახდა პორტსმუთელთა სერბ მილიონერ მეპატრონეს არ გასჭირვებია.

„ჰოლანდი სამედიცინო შემოწმებას გაივლის და შემოგვიერთდება. ის დიდებული მოთამაშეა და ძალიან წაგვადგება" — თქვა მწვრთნელმა.

პრემიერლიგის დებიუტანტი ტედი შერინგემსაც ეკურკურება. შერინგემს „ტოტენჰემმა" კონტრაქტი აღარ გაუხანგრძლივა და ფეხბურთელი ახლა თავისუფალი კაცია. „ძალიან მსურს ჩემს გუნდში მისი ხილვა. ვიმედოვნებ, რომ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება" — დასძინა რედნაპმა.

მესამე სამიზნე „ვიტესის" კაპიტანი, სერბი ლეგიონერი დეიან სტეფანოვიჩია, რომლის თაობაზეც „პორტსმუთის" თავკაცი ჰოლანდიელებს ამ დღეებში დაუკავშირდება.

**ვაჟა ხუციშვილი**



ჰარი რედნაპი

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## II ჯგუფი

### დღეს: დანია – ნორვეგია



ტომას ჰელვეგის დანიისა და იონ არნე რიისეს ნორვეგიის პირველი შეხვედრა 2:2 დასრულდა

# სკანდინავია ღელავს

## მატჩი ექვსი საათით ადრე დაიწყება

**კოპენჰაგენში** დღეს ვიკინგები ერთურს შეასკდებიან. ამ გუნდებს შორის პირველი წრის შეხვედრა შარშან სექტემბერში ფრედ 2:2 დასრულდა. დანიელებს ივნისში შინ 1965 წლის შემდეგ არ წაუგიათ.

ორ ქვეყანას შორის სიტყვით ბრძოლა მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყო. ებე სანდიმ მეზობელ მობურთალებს თამაში დაუწუნა, ნორვეგიელების ფეხბურთზე უფრო პრიმიტიული არაფერი მინახავსო. სანდის სატურნირო ცხრილში ჩახედვა დავიწყებია. ნილს იოჰან სემბის გუნდი ლიდერია და მორტენ ოლსენის ბიჭებს სამი ქულით უსწრებს. დანიელებს სწორედ სამქულიანი სხვაობის ამოძირკვა სწადიათ.

მორტენ ოლსენს პრობლემებისგან თავბრუ დაეხვა. ძირითადი შემადგენლობის ოთხი მოთამაშე ტრავმირებულია, მათ შორის „მილანის" ფორვარდი იონ დალ ტომასონი. დალ ტომასონმა სექტემბრის მატჩში დუბლი შეასრულა და უმისობა მასპინძლებისთვის დიდი დანაკლისია.

გუშინწინდელ ვარჯიშზე კიდევ სამნი დაშავდნენ: „პანათინაიკოსის" ლეგიონერი, კაპიტანი რენე ჰენრიკსენი, „ბრონდბიუს" მცველი მორტენ ვიგჰორსტი და ჩელსელი იესპერ გრონკიაერი. ექიმებმა მწვრთნელი დააიმედეს. დღეისთვის სამივეს „შეაკეთებენ". მორტენ ოლსენის ფავორიტი, პსვ-ელი დენის რომედალი, შესაძლოა, უდინეზელმა მარტინ იორგენსენმა შეცვალოს, რადგან რომედალზე უკეთეს ფორმაშია.

„თქვენ ჩვენგან იმაზე მეტს ვერ მიიღებთ, რაც ნორვეგიელების შესახებ იცით. რა გნებავთ? მატჩის წინ დავფქვა ყველა საიდუმლო?" — ასე უპასუხა დანიელთა მთავარმა მწვრთნელმა მიკროფონმომარჯვებულებს.

კოპენჰაგენში ტრიბუნები გადაივსება. სტუმრებს დაახლოებით 12 ათასი ქომაგი გაამხნევებს. ნორვეგიაში ეს შეხვედრა „საუკუნის ჯახად" მონათლეს. ერთ-ერთი ტელეკომპანია მატჩისწინა რეპორტაჟის დაწყებას ექვსი საათით ადრე აპირებს, ხოლო თამაშის დამთავრებას ორსაათიანი გარჩევა მოჰყვება.

ნილს იოჰან სემბს ყველა ძირითადი ფეხბურთელი ჯანზე ჰყავს და, ცხადია, უხარია: „მეტოქეებს შორის „ომისწინა" სიტყვიერი შეხლა ვითარებას ალამაზებს კიდეც. ეს არცაა გასაკვირი. ებე სანდის ნათქვამი არ გვწყენია. მსურს, რომ ყველა მატჩის წინ ასეთი რია-რია იყოს". ნორვეგიელთა მწვრთნელი სავარაუდოდ ოთხ მცველს და ამდენივე ნახევარმცველს გაამწესებს. თავდასხმაში კი იონ კარეუს ოლე გუნარ სოლსკიაერი დაეხმარება. სტუმართა კაპიტანი ჰენინგ ბერგი შეუძლოდაა და თუ ვერ გამოკეთდა, მის ნაცვლად საუთჰემპტონელი კლაუს ლუნდეკვამი ითამაშებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| დანია | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 7 |
| რუმინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 12:6 | 6 |
| ბოსნია | 4 | 2 | 0 | 0 | 4:5 | 6 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:13 | 0 |

### დღეს: რუმინეთი – ბოსნია

## III ჯგუფი

### დღეს: ბელარუსი – ჰოლანდია

# დე ბური ისტორიას ივიწყებს



იმედია, ისტორია აღარ განმეორდება, თქვა ფრანკ დე ბურმა — მისი ჰოლანდია დღეს ბელარუსებს სტუმრობს.

ისტორია კი გვახსენებს, რომ 1995 წელს, ევრო 96-ის შესარჩევ ეტაპზე, მინსკში ჩასული ჰოლანდიელები შინ შერცხვენილები დაბრუნდნენ, 0:1 წააგეს, რაც ყველამ სენსაციად აღიქვა. თუმც ისიც აღვნიშნოთ, რომ იმ მარცხის მიუხედავად, ჰოლანდია ევროპის ჩემპიონატზე მაინც გაემგზავრა.

ახლა კი ჰოლანდიელების ჯგუფში როგორი ვითარებაცაა, ცხრილიდანაც ჩანს. „ნარინჯისფერებს" წაფორხილების უფლება აღარ აქვთ, თორემ პორტუგალიაში გამგზავრება ალბათ შემოვლითი გზით, პლეი ოფის გავლით მიუწევთ.

„ცხადია, მინსკში გამარჯვების სურვილით და რწმენით მივდივართ — განაგრძო დე ბურმა — მაგრამ ისიც ცხადია, გამარჯვებისთვის მხოლოდ სურვილი არ კმარა". სხვათა შორის, რვა წლის წინანდელ წაგებულ მატჩში დე ბურს მონაწილეობა არ მიუღია.

„ვფიქრობ, ჩეხები ქულებს არ დაკარგავენ და გადამწყვეტი ჩვენი ურთიერთშეხვედრა იქნება. მაგრამ იმ თამაშს ფასი რომ ჰქონდეს, იქამდე არც ჩვენ უნდა დავმარცხდეთ" — დასძინა ტყუპისცალმა.

ჰოლანდიელებს საამტროდ დე ბურის ბარსელონელი თანაგუნდელები, ფილიპ კოკუ და მარკ ოვერმარსი დაშავებულები ჰყავთ. ხოლო ბელარუსებს ერთ-ერთი მთავარი ფეხბურთელი, კიევის დინამოელი ალექსანდრ ხაცკევიჩი დააკლდებათ.

მოვლენებს გავუსწროთ და დავძინოთ, რომ ხაცკევიჩი ვერც მომავლ ოთხშაბათს ავსტრიელთა წინააღმდეგ ითამაშებს.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:1 | 10 |
| ჰოლანდია | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| ავსტრია | 4 | 2 | 0 | 2 | 4:7 | 6 |
| ბელარუსი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | 3 |
| მოლდოვა | 4 | 0 | 0 | 4 | 2:8 | 0 |

### დღეს: მოლდოვა – ავსტრია

## V ჯგუფი

# დიდი გასეირნება

### დღეს: შოტლანდია – გერმანია

**გერმანულ** გაზეთთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი ნაკრების გლაზგოში, „ჰემპდენ პარკზე" თამაში იოლი საქმე და გასეირნება იქნება. მაგალითად „ბილდი" ამბობს, რომ რუდი ფიოლერი ბერტი ფოგტსის იმედებს ბდღვირს ადენს — მოგეხსენებათ, შოტლანდიელებს ეროვნული გუნდის სათავეში გერმანელთა ყოფილი მწვრთნელი, ფიოლერის წინამორბედი, ფოგტსი უდგათ.

გასულ შაბათს გერმანელებმა კანადელებთან იამხანაგეს, 4:1 მოუგეს და ოფიციალური შეხვედრის წინ კარგი განწყობა შეიქმნეს. კანადელებთან თამაშს ახალგაზრდა გერმანელთა გამოცდილებით გამდიდრების ამოცანაც ჰქონდა. მაგალითად, 21 წლის ტობიას რაუ თვალსა და ხელს შუა იხვეწება, მასთან ერთად კი ნაკრების კარზე სულ უფრო ღონივრად უკაკუნებენ არნე ფრიდრიხი, ანდრეას ჰინკელი, კევინ კურანი და პაულ ფრაიერი.

„ვარჯიშებზე ძალ-ღონეს არ ვიშურებთ და ვცდილობთ, დიდ პროფესიონალებად ჩამოვყალიბდეთ, — ამბობს რაუ — მოედანზე კარგად ვთამაშობთ, ცხოვრებაში კი ყურადღებას არ ვიქცევთ. მათამაშებს თუ არა ფიოლერი შოტლანდიასთან, მისი გადასაწყვეტია, ჩემი საქმე კი ყურადღების სრული მოკრებაა, ვინაიდან ასაკის გამო სტაბილურობა მაკლია და ჩემს პოზიციაზე სულაც არ ვარ უძლიერესი".

„შოტლანდიელებთან წლის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გველის, — განაცხადა თავად ფიოლერმა, რომელმაც ნაკრები ოთხშაბათს ფარერის კუნძულებზე წაიყვანა, — ვგონებ, ჯგუფიდან გასვლას მხოლოდ ჩვენ ორნი შევძლებთ".

მიმომხილველები ამბობენ, რომ „ჰემპდენ პარკზე" გერმანელები (დაშავებულები არიან მცველი კრისტოფ მეცელდერი და ნახევარმცველები, დიტმარ ჰამანი და კრისტიან ციგე) 3-5-2 განლაგებას აირჩევენ. კანადასთან ზემოხსენებულ ამხანაგურ შეხვედრაში ფიოლერს ოთხი მცველი გამოუყვანია და სისტემით უკმაყოფილო დარჩენილა. ერთი სიტყვით, სქოთებთან გერმანელთა უკანა სამეული იქნება — არნე ფრიდრიხი, კარსტენ რამელო და კრისტიან ვიორნსი.

თავდასხმაში მიროსლავ კლოზეს და ფრედი ბობიჩს ვიხილავ.

გერმანელები და შოტლანდიელები გასულ 10 წელიწადში ორჯერ შეხვდრიან ერთმანეთს. 1993 წელს, გლაზგოში, გერმანელებმა 1:0 მოიგეს, ხოლო ბრემენში, ოთხი წლის წინ შოტლანდიელებმა იმავე ანგარიშით იძიეს შური.

„გერმანელები ჩამოსვლას, თავის ჩვენებას და გამარჯვებას ელიან — ამბობს სქოთი თავდამსხმელი კენი მილერი, — მაგრამ გამორიცხულია ჩვენ მათ იოლი გასეირნების საშუალება მივცეთ".

ბოლოწამს გავრცელებული ცნობა კი ისევ გერმანიის ნაკრებს ეხება — გამთამაშებელმა მიხაელ ბალაკმა ფეხი იტკინა. ფეხბურთელმა, რომელიც წლეულს ტრავმებმა გვარიანად გააწვალა, გუშინ და დღეს გუნდთან ერთად ვერ ივარჯიშა.



ფრედი ბობიჩი

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ლიტვა | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 7 |
| შოტლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ისლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ფარერები | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

### დღეს: ისლანდია – ფარერები





ბერტი ფოგტსს შოტლანდიაში რუდი ფიოლერი ესტუმრა

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## VI ჯგუფი

### დღეს: ესპანეთი – საბერძნეთი

# ინჩასების სარაგოსა

დღეს სარაგოსაში ესპანეთისა და საბერძნეთის ნაკრებები შეხვდებიან. ესპანეთი 10 ქულით მეექვსე ჯგუფის ლიდერია, მეორე-მესამე ადგილებს კი უკრაინა-საბერძნეთის გუნდები ინაწილებენ 6-6 ქულით. ინაკი საესის გაწვრთნილებმა თავიანთ მთავარ მეტოქეებთან უკვე ჩაატარეს გასვლითი თამაშები, რაც მათ სალიდერო პოზიციას მნიშვნელოვნად ამყარებს.

„ესპანეთის ნაკრები მხოლოდ უმაღლესი მწვერვალების დასაპყრობად იბრძვის. იმედი მაქვს, რომ „ლა რომარედა“ გულმხურვალე ინჩასებით პირთამდე იქნება სავსე, რაც ჩვენს გუნდს ბერძნებთან გასამარჯვებლად დამატებით სტიმულს შესძენს“ — განუცხადა მასპინძელთა მწვრთნელმა ჟურნალისტებს. მსგავსი სიმტკიცე სახელოვან ემილიო ბუტრაგენიოსაც ჭარბად აქვს: „ოპტიმიზმისთვის საკმაო საფუძველი გაგვაჩნია. ჩვენი გუნდი ქულათა მაქსიმუმს დააგროვებს და პორტუგალიაში აუცილებლად მოხვდება.“

დამფრთხალი არც მომხვდურთა გერმანელი მაესტრო ოტო რეჰაგელი ჩანს, ყოველ შემთხვევაში, იგი ესპანელებივით გულდაჯერებით არა, მაგრამ საკმაოდ უშიშრად ხვდება შესქერის ჯგუფის ფავორიტთან დაპირისპირებას. „ესპანეთის ნაკრები, რა თქმა უნდა, ფავორიტია, თუმცა, თუ მოვინდომებთ, მატჩის ბედის ჩვენთვის სასურველად გადაწყვეტასაც შევძლებთ“ — აღნიშნა ბერძენთა დამრიგებელმა.

რეჰაგელის გუნდს ტრამვიანობა მისძალებია. ნახევარმცველები — კაფესი და გეორგიადისი, მცველი ანცასი — აი, ის ფეხბურთელები, რომლებიც სხვადასხვა სატკივარის გამო სარაგოსას თამაშს გამოტოვებენ. ინაკი საესი კი გუტის მოისაკლისებს. რეალელი წინასამატჩო ვარჯიშზე დაშავდა და მის მაგივრად დღევანდელ შეხვედრაში ომის გადახდა ბარსელონელ გაბრის მოუწევს. „რეალ სოსიედადის“ ხაბი ალონსოც ყელის მოულოდნელი ინფექციისა და მაღალი ტემპერატურის გამო ალბათ ვერ ითამაშებს. რუბენ ბარახას თამაშიც სათუოა. ბუტრაგენიო კი ჩვეულ შემართებას არ ღალატობს. „ნაკრებში საკმარისად გვყავს ხალხი, რომელთაც ტრამვირებული ფეხბურთელების შეცვლა შეუძლიათ“ — ამტკიცებს ესპანელთა ექსლიდერი. თუ პირინეის მკვიდრნი სტუმრებს მოუგებენ, მათი დაწევა დიდად გაძნელდება.

**ლადო ხომერიკი**







ემილიო ბუტრაგენიო გუტის ტრავმამ ვერ შეაშინა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:2 | 10 |
| უკრაინა | 4 | 1 | 3 | 0 | 6:4 | 6 |
| საბერძნეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| სომხეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | 4 |
| ჩრდ. ირლანდია | 4 | 0 | 1 | 3 | 0:6 | 1 |

### დღეს: უკრაინა – სომხეთი

## VII ჯგუფი

### დღეს: სლოვაკეთი – თურქეთი

# სერგენ თაღლითოღლუ

## პრეზიდენტმა ღალატი ნახა

„ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩია წლეულს“ — განაცხადა სლოვაკეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანტიშეკ ლაურინეცმა. სლოვაკები თურქებს სამი, ინგლისელებს კი ოთხი ქულით ჩამორჩებიან, გამარჯვების შემთხვევაში კი ოსმალებს დაეწევიან. მომავალ ოთხშაბათს ლადისლავ იურკემიკის გუნდს მიდლსბროში ინგლისთან შეხვედრა ელის. ამიტომაც ეშურებიან დღევანდელი მეტოქის დამარცხებას, რომლებთანაც შარშან სექტემბერში 0:3 წააგეს.

მასპინძელთა კაპიტან მიროსლავ კარჰანს თავის დროზე „ბეშიქთაშში“ უთამაშია. იგი კარგად იცნობს მოწინაალმდეგეს და განსაკუთრებით ნიჰათ კაჰვენჩის უფრთხის. ნიჰათმა ამ სეზონში „სოსიედადში“ გაიბრწყინა.

მიროსლავ კარჰანმა თქვა: „ილდირაი ბაშთურქი, ემრე ბელოზოღლუ და ოკან ბურუქი ძლიერი ფეხბურთელები არიან, მაგრამ თურქთა აღმასვლა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაიწყო, უსასრულო ხომ არაა? ოდესღაც ყველაფერი მთავრდება.“ კაპიტანი იმედოვნებს, რომ შენოლ გიუნეშის ზეიმი დღეს ბრატისლავაში დასრულდება. ლადისლავ იურკემიკი ფორვარდ ტომას ოვარეცს მოისაკლისებს. მის ნაცვლად კვიპროსის „ომონიიდან“ იოზეფ კოზლეის უხმეს.

თურქთა ბანაკშიც შევიჭვრიტოთ. დღეს ინგლისი არ თამაშობს და ოსმალებს პირველ ადგილზე გადასკუპების შანსი აქვთ. მსოფლიოს ბრინჯაოსნებმა შეკრება ავსტრიაში გაიარეს. „ჩვენ ყველა დარჩენილი შეხვედრის მოგება და ჯგუფში პირველი ადგილი გვსურს“ — დაახეთქა შენოლ გიუნეშმა და მადას ვერ დაუწუნებ. ბოლო ამხანაგურ მატჩში ჩეხებმა თურქეთი 4:0 გაანადგურეს, რამაც ოსმალოთა სარდალი არცთუ ძალიან გაანაწყენა — მოტივაცია გვაკლდაო, თქვა მაშინ გიუნეშმა.

ავსტრიაში მყოფი ფეხბურთელები იქაურ თანამემამულეებს სეირნობის ჟამს გადააწყდნენ და ბლომად ავტოგრაფებიც დაარიგეს. სტუმრებს სერგენ იალჩინი ვერ დაეხმარება, მან ტრავმა მოიმიზეზა, რაზეც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰალუკ ულუსოიმ მიუგო: „ქვეყანამ უხმო, მწვრთნელმა უხმო, გუნდს სჭირდება, ის კი ტრავმაზე წუწუნებს. იგი სრულიად ჯანმრთელია და იმის ნაცვლად, რომ ნაკრებს დაეხმაროს, თამაშს თავს არიდებს.“

შენოლ გიუნეში კი ასე ბჭობს: „სლოვაკები ფიზიკურად ძლიერნი კი არიან, მაგრამ მეეჭვება, 90 წუთი ერთ დონეზე ითამაშონ. ყოველ მონაკვეთზე ბრძოლას თუ გავუმართავთ და მოედნის ცენტრს დავიპყრობთ, სტამბოლში სამი ქულით დავბრუნდებით.“



სლოვაკები გამორჩევით „სოსიედადის“ თურქს, ნიჰათს უფრთხიან

თურქეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მოძულებული ჰაკან შუქურის დახმარება კვლავ დასჭირდა. იგი თავდასხმაში ნიჰათს შეუწყვილდება. მათ ემრე და ბაშთურქი მოამარაგებენ. თურქეთი სლოვაკეთს აქამდე სამჯერ შეხვდა და ჰაქან შუქურმა ორი გოლიც მიითვალა. ამიტომაც ოსმალებს დღეს მისი ძალიან ეიმედებათ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 |
| თურქეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:3 | 9 |
| სლოვაკეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:5 | 6 |
| მაკედონია | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |
| ლიხტენშტაინი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:12 | 1 |

### დღეს: მაკედონია – ლიხტენშტაინი


# სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები,

აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49


## VIII ჯგუფი

### დღეს: ბულგარეთი – ბელგია

# რაო და სექსი არაო!

ბულგარელმა ფეხბურთელებმა თავიდან ვერ გაიგეს მწვრთნელის ნათქვამი. ხუმრობა ეგონათ. პლამენ მარკოვმა კი გაუმეორა: ბელგიასთან მატჩამდე არავითარი ცოლი, მეგობარი გოგონა და მისთანები.

სოფიიდან მოშორებით, ბოიანაში (პრეზიდენტის რეზიდენცია) ბულგარელები სადღეისო მატჩისთვის მოსამზადებლად რამდენიმე დღის წინ შეიკრიბნენ. მწვრთნელმა ბიჭები დააშწკრივა, ტაქტიკური მონახაზ-მონაჩმახი გაურჩია. ფეხბურთელებმა სალამოზე და ქალებზე ფიქრი რომ დაიწყეს, ჰოპ! და პლამენ მარაოვმა თითი დაუქნია — არც იოცნებოთო. ვაჟკაცები გაოგნდნენ. „კი მაგ“... „არავითარი მაგრამ!“ დასჭყივლა მწვრთნელმა.

მოთამაშეთა თქმით, მსგავსი რამ არასდროს მომხდარა, და ცხადია, გაუკვირდათ. ეს ამბავი მეტოქე გუნდის თავკაცმაც შეიტყო. ემე ანტუნესმა თქვა: „რეჟიმის დაწესება მარკოვის საქმეა. შესაძლოა, კარგი იდეაც იყოს, თუ წარმატების გარანტიას იძლევა. რას იზამ, ყველა თავისებურად გიჟდება. ჩემს ფეხბურთელებსაც მოაკლდათ ქალთა ალერსი, მაგრამ ბულგარელივით სემსს ვერ ავუკრძალავ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| ხორვატია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| ბელგია | 4 | 2 | 0 | 2 | 2:6 | 6 |
| ესტონეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:1 | 5 |
| ანდორა | 4 | 0 | 0 | 4 | 1:7 | 0 |



ემე ანტუნესს სოფიაში უქალო ბულგარეთი დახვდება

### დღეს: ესტონეთი – ანდორა

## I ჯგუფი

### დღეს: ისრაელი – სლოვენია

### დღეს: მალტა – კვიპროსი

## IV ჯგუფი

### დღეს: უნგრეთი – ლატვია

### დღეს: სან მარინო – შვედეთი

## IX ჯგუფი

### დღეს: ფინეთი – სერბეთი

# თავდაცვის სამინისტროდან პირველ თავდამსხმელამდე



*„ურაკანს“ 80 ათასი პესო არ აღმოაჩნდა და „რივერმა“ ალფრედო დი სტეფანო დაიბრუნა, პირველ გუნდშიც გაამწესა და არც უნანია. ალფრედომ 29 მატჩში 28 გოლი გაიტანა, „რივერი“ ჩემპიონია. ქომაგებმა კი დი სტეფანოს „საეტა“ (ისარი) შეარქვეს... მოკლედ, დღეს შაბათია და, ტრადიციულად, ალფრედო დი სტეფანოს ავტობიოგრაფიული წიგნის, „გმადლობთ, ძმაოს“ გაგრძელებას გთავაზობთ.*





დი სტეფანომ „რივერის“ ძირითადში პედერნერას ადგილი დაიკავა

## ეს დაწყევლილი თვითმფრინავები

სათამაშოდ შორს წასვლა არ გვჭირდებოდა. ჩემპიონატში მონაწილე თითქმის ყველა გუნდი ბუენოსაირესული ან ახლომახლო ქალაქებიდან იყო. პირველად შორს წასვლა „რივერში“ თამაშისას მომიწია. იმხანად მენდოსაში საშინელი მიწისძვრა მოხდა და საქველმოქმედო მატჩის გასამართად გაგვიშვეს. მენდოსაში „ბოკას“ წინააღმდეგ უნდა გვეთამაშა და გაუბედურებული ხალხისთვის ცოტა ხნით მაინც დარდი გაგვექარვებინა.

მატარებლით გავემგზავრეთ. მაშინ ვაგონებს ფანჯრები არ ჰქონდათ და მთელი იმ მხარის მტვერი პირში გვეყრებოდა. ბოლოს იძულებულები გავხდით, ცხვირ-პირზე ცხვირსახოცები წაგვეკრა, თითქოს პარტიზანები ვყოფილიყავით.

მენდოსაში ჩასულმა ვიგრძენი, რა განსხვავებაც იყო „რივერსა“ და „ბოკას“ შორის. ბოკელებმა საჩუქრად ხუთასი ცალი მაისურა ჩაიტანეს, ჩვენ კი მხოლოდ სამკერდე ნიშნები. ვუყურებდი, მენდოსელები, ახალგაზრდებიც და მოხუცებიც, როგორ ამაყად დადიოდნენ „ბოკას“ მაისურებით, ჩვენი სამკერდე ნიშნებისთვის კი რა უნდა ექნათ? შიშველ ტანზე დაემაგრებინათ? ახალგაზრდა კი ვიყავი, მაგრამ ჩემი ეს დაკვირვება საკმაოდ თამამად მოვახსენე კლუბის უფროსობას. მათ, ცხადია, არ ესიამოვნათ. მგონი, სწორედ მაშინ გაირბინა ჩვენს შორის შავმა კატამ და ამიტომაც დავთანხმდი ასე იოლად და გამიხარდა კიდეც „ურაკანში“ გადასვლა.



„ურაკანში“ თითქმის მთელი 1945 წლის სეზონი გავატარე, თუმცა კლუბს ჩემი გამოსასყიდი 80 ათასი პესო არ აღმოაჩნდა და ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე „რივერმა“ ჩემი დაბრუნება მოითხოვა.

„რივერში“ დაბრუნებისთანავე ბრაზილიაში გასამგზავრებლად დავიწყეთ მზადება. დიდი ფეხბურთელი სასტრე კარიერას ასრულებდა და მის საპატივცემულოდ სან პაულუში „ინდეპენდიენტესთან“ სამი მატჩი უნდა გაგვემართა.

ბუენოს აირესიდან სან პაულუში პირდაპირი რეისი არ იყო. რიოში ჩავფრინდით, სადაც სამხედრო თვითმფრინავში ჩაგვსხეს, აი, ისეთში, პარაშუტისტები რომ გადაჰყავს. საშინელი თვითმფრინავი გამოდგა. ფეხს წესიერად ვერ გაშლიდი, თან საშინელი დახუთულობა იყო. ერთი სიტყვით, უსიამოვნოდ ვიმგზავრეთ. მაგრამ უკანა გზაზე თურმე უარესი ამბავი გველოდა. ავფრინდით თუ არა, რაღაც დამწვრის სუნი ვიგრძენით. ეძებეს, ეძებეს და თურმე რაღაც მავთულები დამდნარა. თვითმფრინავი შეატრიალეს და ისევ აეროპორტში დაგვსვეს. რემონტს ექვსი საათი დასჭირდა. ვიჯექით აუტანელ სიცხეში და ველოდებოდით, რადგან სხვა თვითმფრინავი არ აღმოაჩნდათ. რაღა ბევრი გავაგრძელო, როცა რემონტი დაასრულეს და ისევ ჩაგვსხეს, შიშისგან ვკანკალებდი.

იმ ისტორიის შემდეგ, ჩემთვის თვითმფრინავში ჩაჯდომა ნამდვილი ტანჯვაა. ამიტომაც მოგვიანებით „მილიონარიოსში“ თამაშისას, ერთი სული მქონდა, არგენტინაში როდის დავბრუნდებოდი — კოლუმბიაში გასვლით მატჩებზე თვითმფრინავით დავყავდით.

სიმართლე გითხრათ, საშინელი თვითმფრინავების გარდა, სან პაულუში მოგზაურობიდან მხოლოდ ანანასები დამამახსოვრდა. მაშინ პირველად გავსინჯე ანანასი და ძალიან მომეწონა. ნუ გაგეცინებათ, ჩვენ ხომ ძალიან ახალგაზრდები და არცთუ მდიდრები ვიყავით. ცხოვრებაში ბევრი არაფერი გვენახა.

მაგალითად, არ ვიცოდით, რომ ხამანწკებთან ლიმნიანი წყალი დასალევად კი არა, ხელების დასაბანად მოაქვთ. ერთხელ, როცა „რივერის“ მესამე გუნდში ვთამაშობდი, პირველ გუნდთან ერთად მარდელ პლატაში წავედით. ჩვენ, ახალგაზრდებმა მაშინ პირველად ვჭამეთ სამეფო ხამანწკები. უფროსი ასაკის ფეხბურთელები გვერდით მაგიდასთან ისხდნენ და ჩუმად აპარებდნენ ჩვენსკენ თვალს. ელოდებოდნენ, რომ ვინმე შეცდებოდა და გულიანად ახარხარდებოდნენ. ანკესს პიპო როსი წამოეგო, უნდა გენახათ, რა ხდებოდა, ლიმნიანი წყალი რომ მოიყუდა.

## კოლიმბა

1946 წლის მიწურულს „რივერმა“ პედერნერას „ატლანტესთვის“ მიყიდვა გადაწყვიტა. ამის თაობაზე ბევრს წერდნენ, ისტორიულ გარიგებას უწოდებდნენ. პედერნერა თავისი დროის დიადი ფეხბურთელი იყო, მაგრამ „რივერის“ ხელმძღვანელობასთან გამუდმებით კონფლიქტი ჰქონდა. მისი დონის ფეხბურთელებს ასეთი რამ ხშირად ემართებათ.

ამ გადასვლას ჩემთვისაც, „ურაკანიდან“ დაბრუნებული ახალგაზრდა ფეხბურთელისთვისაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ცენტრფორვარდის ადგილი გამოთავისუფლდა. მომდევნო სეზონში 30 მატჩიდან 29-ში ვითამაშე და თუ არ ვცდები, 28 გოლი გავიტანე. მე საუკეთესო ბომბარდირი, „რივერი“ კი ჩემპიონი გახდა.

ცხადია, საქმე მხოლოდ ჩემს კარგ თამაშში არ იყო, ძალიან ძლიერი, შეკრული გუნდი გვყავდა. მეტწილად ის ბიჭები ვიყავით, დაბალი დივიზიონებიდან ერთად რომ მოვდიოდით. ეს კი ჩვენი სელექციონერის, მინელის დამსახურება გახლდათ. მის საპატივცემულოდ, კლუბის დირექტორი პაუსელიე ასეც გვეძახდა, „მინელიტოები“.

მოგვიანებით მე „საეტა“ შემარქვეს, რაც ესპანურად ისარს ნიშნავს. „საეტას“ არგენტინაში ყველაზე სწრაფ თვითმფრინავებსაც ეძახდნენ. ტრიბუნებიდან ხშირად გამიგონია მეტოქე გუნდის გულშემატკივრების ყვირილი, ფრთხილად, ისარი გამოჩნდაო. ცხადია, მსიამოვნებდა.

სხვა რამეც მსიამოვნებდა. ის, რომ „რივერში“ მამაჩემი ჯერ კიდევ ახსოვდათ. მასზე ბევრს მიყვებოდნენ, განსაკუთრებით კლუბის მასაჟისტი მაჩინი. ტახტზე ვიწექი, ფეხებს მიზილავდა და მიყვებოდა, მამაშენს ისეთი დარტყმა ჰქონდა, ბურთს ხეთქავდაო. ეს ისტორიები ძალიან მამხნევებდა.

მალე ჯარში გაწვევის დრომ მომიწია. ჯარში წასვლა დიდად არ მეპიტნავებოდა (ისევე როგორც ყველა სპორტსმენს) და ახალგაზრდების იმ კატეგორიას მივეკუთვნებოდი, სამხედრო სამსახურს „კოლიმბას“ რომ ეძახიან. ეს აბრევიატურაა და სამი სიტყვისგან შედგება, რომლებსაც ოფიცრები გამუდმებით უყვირიან ჯარისკაცებს: გაიქეცი, გამოიბანე, გაიწმინდე.

თითქმის ყველა ცდილობდა ჯარიდან თავის დაღწევას, თუმცა მეტწილად არ გამოსდიოდათ. ჩვენ, ფეხბურთელები შედარებით უკეთეს პირობებში ვიყავით. თავის დროზე მამაჩემსაც გაუმართლა. ბოლო წამს, როცა სატვირთო მანქანის ძარაზე შეაგდეს და სამხედრო ნაწილში უნდა წაეყვანათ, სერჟანტმა მის საბუთს ჩახედა, რომელზეც ეწერა: „ალფრედო დი სტეფანო, ფეხბურთელი“ და ძარაზე შეყრილებს დაუღრიალა: „რომელი ხართ მანდ დი სტეფანო. გინდა, ჩვენს გუნდში ითამაშო?“ მინდა კი არა, ვოცნებობო, უპასუხია მამაჩემს და მთელი სამსახურის ვადა ბურთის გორებაში გაატარა.

მე შედარებით ნაკლებად გამიმართლა. თავდაპირველად იარაღის საწყობში გამამწესეს. მხოლოდ შაბათობით მიშვებდნენ ფეხბურთის სათამაშოდ. სამი თვე ასე გავატარე. მერე თავდაცვის სამინისტროში გადამიყვანეს, სადაც გამომიცხადეს, შუადღის შემდეგ თავისუფალი ხარო. „რივერის“ ხელმძღვანელობაში რამდენიმე ძველი გენერალი იყო და ისინი დამეხმარნენ. თუმცა მიუხედავად ამისა, მე მაინც შევიგრძენი, რა იყო „კოლიმბა“.

ერთი წლის შემდეგ ჯარიდან საერთოდ გამათავისუფლეს. საქმე ის არის, რომ ნაკრებში მიმიწვიეს და ამან მიშველა. თავდამსხმელთა სიაში მეოთხე ვიყავი პონტონის, ლესტაუს და ბოიეს შემდეგ. პონტონი არგენტინის ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ფორვარდი იყო და მის შემცვლელად ყოფნა უკვე უდიდეს პატივად მივიღე.

ჩემი ძმა ტულიო კი ჯარში საერთოდ არ გაიწვიეს, მაგრამ განა ეს გამართლებაა. მას მუხლი ქრონიკულად აწუხებდა და ამიტომ დაიწუნეს.

საერთოდ უიღბლო ბიჭი იყო. თავის დროზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა. როცა მე მეოთხე დივიზიონში ვთამაშობდი, ის მეხუთეში იყო. მისგან შეიძლებოდა დიდი მცველი დამდგარიყო. ერთხელ ვარჯიშზე მუხლი იტკინა. „რივერში“ ბრწყინვალე ექიმი გვყავდა, დოქტორი კოვასო, მუხლის ტრავმების უბადლო სპეციალისტი. მან ტულიოს ოპერაციის გაკეთება ურჩია, ტულიომ კი არ დაუჯერა და „ურაკანში“ გადავიდა. მისი კარიერაც იქ დამთავრდა. კიდევ კარგი, ჯოხით სიარული არ დასჭირდა. გული მწყდება, რომ ვერც „რივერში“ და ვერც „ურაკანში“ ერთად ერთხელაც ვერ ვითამაშეთ. საბოლოოდ მან მცირე ბიზნესს მიჰყო ხელი, ჯერ ცემენტით, მერე კი ტექსტილით ვაჭრობდა. კარგად კი მოეწყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემს შემხედვარეს გული წყდებოდა, დიდი ფეხბურთი რომ ვერ ითამაშა.

მისმა ბედმა საკუთარ თავზე დამაფიქრა: ფეხბურთი მხოლოდ ფეხბურთელობისას გაძლევს საარსებო ფულს, თამაშს თავს ანებებ და ირკვევა, რომ არც განათლება გაქვს და არც რაიმე სხვა პროფესია.

საბედნიეროდ, ჩემი ძმა ცხოვრებაში არ დაიკარგა. მშობლები მას ძალიან დაეხმარნენ. კმაყოფილებიც იყვნენ, ჩემსავით აქეთ-იქით რომ არ დაეხეტებოდა. როცა მე ევროპაში წავედი, ტულიო მშობლებთან დარჩა და ბოლომდე მათთან ცხოვრობდა. ცოლი მოიყვანა, მის შვილს იშვიათად ვნახულობ, თუმცა ვიცნობ. ტულიო 1995 წელს გარდაიცვალა. ახლა ბუენოს აირესში, ჩვენი მშობლების სახლში ჩემი და ნორმა ცხოვრობს.



# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 17.00 | 001 | კიოლნი(მ)-ქემნიცი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 17.00 | 002 | დინამო-მიუნსტერი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 17.00 | 003 | აუე-დორტმუნდი(მ) | 1,5 | 3,4 | 3,4 | 1,04 | 1,04 | 1,7 |
| 17.00 | 004 | ურდინგენი-ჰამბურგი | 2,0 | 3,6 | 1,8 | 1,28 | 1 | 1,19 |
| 17.00 | 005 | პადერბორნი-ფერლი | 2,3 | 3,6 | 1,7 | 1,4 | 1 | 1,15 |
| 17.00 | 006 | ბაბელსბერგი-ვატენშაიდი | 3,0 | 3,3 | 1,8 | 1,57 | 1,12 | 1,16 |
| 17.00 | 007 | ვერდერი(მ)-ესენი | 3,4 | 3,6 | 1,6 | 1,74 | 1,08 | 1,1 |
| 17.00 | 008 | ლევერკუზენი(მ)-დრეზდენი | 1,7 | 3,5 | 4,0 | 1,14 | 1,19 | 1,86 |
| 17.00 | 009 | ოსნაბრიუკი-კილი | 1,3 | 3,0 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,25 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXVIII ტური** | | | | | | |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 010 | ზაარბრიუკენი-ბაიერნი(მ) | 2,3 | 3,2 | 2,5 | 1,33 | 1,19 | 1,4 |
| 18.00 | 011 | შვაინფურტი-აალენი | 1,35 | 4,0 | 6,5 | 1 | 1,11 | 2,47 |
| 18.00 | 012 | აინტრახტი(მ)-ჰოფენჰაიმი | 3,4 | 3,3 | 1,7 | 1,67 | 1,13 | 1,12 |
| 18.00 | 013 | აუგსბურგი-ვეენი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,08 | 1,18 | 2,09 |
| 18.00 | 014 | ერფურტი-ნოინკირხენი | 1,2 | 4,6 | 7,5 | 1 | 1,03 | 2,85 |
| 18.00 | 015 | ფულენდორფი-ოფენბახი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 18.00 | 018 | ზიგენი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,5 | 3,6 | 4,6 | 1,05 | 1,13 | 2,01 |
| | | **იტალია. სერია "B". XXXVIII ტური** | | | | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | 022 | ლეჩე-პალერმო | 2,2 | 2,7 | 3,6 | 1,21 | 1,36 | 1,54 |
| | | **იტალია. სერია C1/A. პლეი ოფი.** | | | | | | |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 19.30 | 029 | პიზა-ალბინოლეფე | 1,95 | 2,7 | 4,6 | 1,13 | 1,36 | 1,7 |
| | | **იტალია. სერია C1/B. პლეი ოფი.** | | | | | | |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 19.30 | 030 | მარტინა-პესკარა | 2,45 | 2,7 | 3,1 | 1,28 | 1,36 | 1,44 |
| | | **იტალია. სერია C1/B. პლეი აუტი.** | | | | | | |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 19.30 | 031 | პატერნო-აკილა | 1,85 | 2,8 | 4,8 | 1,11 | 1,33 | 1,76 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXXIX ტური** | | | | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 21.30 | 032 | ლეგანესი-სარაგოსა | 2,3 | 2,9 | 2,5 | 1,28 | 1,19 | 1,34 |
| 21.30 | 033 | სპორტინგი-ალმერია | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,14 | 1,33 | 1,61 |
| 21.30 | 034 | ლას პალმასი-მურსია | 2,5 | 2,8 | 2,9 | 1,32 | 1,34 | 1,42 |
| 21.30 | 035 | ელჩე-ტერასა | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,14 | 1,33 | 1,61 |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 036 | ალბასეტე-ხეტაფე | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 21.30 | 037 | სალამანკა-კომპოსტელა | 2,15 | 2,5 | 4,0 | 1,15 | 1,39 | 1,53 |
| 22.00 | 038 | ეხიდო-ოვიედო | 2,1 | 2,9 | 3,6 | 1,21 | 1,32 | 1,6 |
| 22.00 | 039 | ნუმანსია-ბადახოსი | 1,8 | 3,0 | 2,8 | 1,12 | 1,09 | 1,44 |
| 22.00 | 040 | სერესი-ეიბარი | 1,9 | 3,0 | 2,7 | 1,16 | 1,11 | 1,42 |
| 23.00 | 041 | კორდობა-ფეროლი | 1,85 | 3,0 | 3,8 | 1,14 | 1,24 | 1,67 |
| 22.30 | 042 | ლევანტე-ტენერიფე | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |
| | | **ევრო 2004. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 067 | შოტლანდია-გერმანია | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 19.00 | 068 | ირლანდია-ალბანეთი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 069 | ირლანდია-ალბანეთი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 21.00 | 070 | ისლანდია-ფარერის კუნძულები | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 071 | ისლანდია-ფარერის კუნძულები0:1 | | 1,75 | 3,2 | 3,0 | | |
| 21.00 | 072 | მოლდოვეთი-ავსტრია | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 21.00 | 073 | უკრაინა-სომხეთი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 074 | უკრაინა-სომხეთი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 21.00 | 075 | ბულგარეთი-ბელგია | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 21.00 | 076 | ესტონეთი-ანდორა | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 077 | ესტონეთი-ანდორა 0:1 | 1,35 | 4,2 | 4,2 | | | |
| 21.00 | 078 | ფინეთი-სერბეთი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 22.00 | 079 | მალტა-კვიპროსი | 5,6 | 3,6 | 1,55 | 2,19 | 1,21 | 1,08 |
| 22.00 | 080 | რუმინეთი-ბოსნია | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 081 | რუმინეთი-ბოსნია 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 22.15 | 082 | დანია-ნორვეგია | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 23.00 | 083 | ბელარუსი-პოლანდია | 9,0 | 4,6 | 1,3 | 3,04 | 1,13 | 1,01 |
| | 084 | ბელარუსი-პოლანდია 1:0 | 3,0 | 3,6 | 1,65 | | | |
| 23.00 | 085 | სან მარინო-შვედეთი | 25,0 | 9,0 | 1,05 | 6,61 | 1 | 1 |
| | 086 | სან მარინო-შვედეთი | 2:0 | 2,0 | 4,6 | 1,8 | | |
| 23.00 | 087 | მაკედონია-ლიხტენშტაინი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 088 | მაკედონია-ლიხტენშტაინი 0:1 | 1,35 | 4,2 | 4,2 | | | |
| 23.15 | 089 | სლოვაკეთი-თურქეთი | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1,26 | 1,21 |
| 23.15 | 090 | შვეიცარია-რუსეთი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 23.15 | 091 | უნგრეთი-ლატვია | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 23.15 | 092 | ისრაელი-სლოვენია | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 00.45 | 093 | ესპანეთი-საბერძნეთი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 094 | ესპანეთი-საბერძნეთი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **ეჩ შესარჩევი მატჩები (21 წლამდე)** | | | | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 15.00 | 111 | მოლდოვა(21)ავსტრია(21) | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 03.05. | 120 | ვენესუელა-ჰონდურასი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 15.00 | 121 | სამხრეთ კორეა-ურუგვაი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 15.15 | 122 | იაპონია-არგენტინა | 4,0 | 3,1 | 1,9 | 1,74 | 1,28 | 1,17 |
| 22.00 | 123 | აშშ-ახალი ზელანდია | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 124 | აშშ-ახალი-ზელანდია 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 22.00 | 125 | კოლუმბია-ეკვადორი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **ჰოკეი. NHL.** | | | | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 23.00 | 602 | ანაჰაიმი-ნიუ ჯერსი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი.** | | | | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 22.30 | 616 | ბარსელონა-ესტუდიანტესი | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 22.30 | 617 | ვალენსია-უნიკახა | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი.** | | | | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 20.00 | 623 | პანათინაიკოსი-პერისტერი | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| 22.00 | 624 | აეკ-ოლიმპიაკოსი | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| 7 ივნისი | | | | |
| 19.00 | 2301 | შოტლანდია-გერმანია | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2302 | ბულგარეთი-ბელგია | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2303 | ფინეთი-სერბეთი | 1,7 | 1,9 |
| 22.15 | 2304 | დანია-ნორვეგია | 1,7 | 1,9 |
| 23.15 | 2305 | სლოვაკეთი-თურქეთი | 1,7 | 1,9 |
| 23.15 | 2306 | შვეიცარია-რუსეთი | 1,65 | 1,95 |
| 23.15 | 2307 | ისრაელი-სლოვენია | 1,7 | 1,9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| 7 ივნისი | | | | | |
| 19.00 | 2501 | შოტლანდია-გერმანია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2502 | ბულგარეთი-ბელგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2503 | ფინეთი-სერბეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.15 | 2504 | დანია-ნორვეგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2505 | სლოვაკეთი-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2506 | შვეიცარია-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2507 | ისრაელი-სლოვენია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 ივნისი | | | | |
| 19.00 | 2201 | შოტლანდია-გერმანია | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2202 | ბულგარეთი-ბელგია | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2203 | ფინეთი-სერბეთი | 1,9 | 1,7 |
| 22.15 | 2204 | დანია-ნორვეგია | 1,8 | 1,8 |
| 23.15 | 2205 | სლოვაკეთი-თურქეთი | 1,85 | 1,75 |
| 23.15 | 2206 | შვეიცარია-რუსეთი | 1,9 | 1,7 |
| 23.15 | 2207 | ისრაელი-სლოვენია | 1,85 | 1,75 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 ივნისი | | | | | | | | |
| 19.00 | 2001 | შოტლანდია-გერმანია | 4,4 | 2,25 | 2,2 | 1,48 | 1,46 | 1,11 |
| 21.00 | 2002 | ბულგარეთი-ბელგია | 2,35 | 2,15 | 4,2 | 1,12 | 1,5 | 1,42 |
| 21.00 | 2003 | ფინეთი-სერბეთი | 3,3 | 2,1 | 2,9 | 1,28 | 1,54 | 1,21 |
| 22.15 | 2004 | დანია-ნორვეგია | 2,3 | 2,15 | 4,4 | 1,11 | 1,51 | 1,44 |
| 23.15 | 2005 | სლოვაკეთი-თურქეთი | 4,2 | 2,15 | 2,35 | 1,42 | 1,5 | 1,12 |
| 23.15 | 2006 | შვეიცარია-რუსეთი | 2,6 | 2,15 | 3,5 | 1,17 | 1,49 | 1,33 |
| 23.15 | 2007 | ისრაელი-სლოვენია | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 ივნისი | | | | |
| 19.00 | 2401 | შოტლანდია-გერმანია | 2,5 | 1,55 |
| 21.00 | 2402 | ბულგარეთი-ბელგია | 1,6 | 2,4 |
| 21.00 | 2403 | ფინეთი-სერბეთი | 2,0 | 1,8 |
| 22.15 | 2404 | დანია-ნორვეგია | 1,55 | 2,5 |
| 23.15 | 2405 | სლოვაკეთი-თურქეთი | 2,4 | 1,6 |
| 23.15 | 2406 | შვეიცარია-რუსეთი | 1,7 | 2,2 |
| 23.15 | 2407 | ისრაელი-სლოვენია | 1,9 | 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 ივნისი | | | | | | | | | | | |
| 19.00 | 2101 | შოტლანდია-გერმანია | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 21.00 | 2102 | ბულგარეთი-ბელგია | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,6 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 21.00 | 2103 | ფინეთი-სერბეთი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 22.15 | 2104 | დანია-ნორვეგია | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.15 | 2105 | სლოვაკეთი-თურქეთი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 23.15 | 2106 | შვეიცარია-რუსეთი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.15 | 2107 | ისრაელი-სლოვენია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[a] კორპუსი

**კროკოს უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა**

**შაბათი 12.00–21.30**

**კვირა 12.00–20.30**



სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1[a] კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი № 11 | წმინდანწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა № 14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | მარტყოფის ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებულ ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## როლან გაროსი 2003 საპრიზო 13 044 055 ევრო

# კოლო თუ კომბლე?

## ვერკერკს ისეთი მოწოდება აქვს, რო...



კორიასთვის რია-რია მორჩა



REUTERS

ქესტისა და მიმიკის ოსტატი მარტინ ვერკერკი ცხოვრების პირველ ფინალშია

### ნახევარფინალი

**მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია) — გილერმო კორია (7, არგენტინა) 7:6 (7:4), 6:4, 7:6 (7:0); ხუან კარლო ფერერო (3, ესპანეთი) — ალბერტ კოსტა (9, ესპანეთი) 6:3, 7:67 6:4**

ამ როლანგაროსამდე ჰოლანდიელ მარტინ ვერკერკს ერთი სლემმატჩიც არ მოეგო, ერთი კინკილა მატჩიც კი. კიდევ მეტი — მას ადრე როლან გაროსზეც არ ეთამაშა. არადა, ამ კვირადღეს მას ზორბა შანსი აქვს, მატს ვილანდერის (1982) შემდეგ გახდეს პირველი მეჩოგნე, იქ თავის სადებიუტო გამოსვლაზევე რომ გაპირველდება.

უნიჭიერესი, წლეულს ალზევებული, სტაბილურად მოჩოგნავე კორია ამ საშინლად გლაჯუნა, ეისთმფრქვეველმა ჰოლანდიელმა ორ საათსა და 40 წუთში დაიმორჩილა.

გარდა იმისა, რომ ამ მატჩში საშუალოდ საათში 198 კილომეტრის სიჩქარით აწოდებდა, მეტოქის წილი კორტი 19 ეისით მოაოხრა და საერთადოც უშურველად უბრაგუნა. კაცთა ამქრის ერთ ყველაზე სხარტ კაცს მან იმაშიც აჯობა, რაშიც თითქოს არაფერი გაეგებოდა — ჭირსა შიგან მაგრობასა და უკანახაზიდან გაუთავებლად ხათქუნში!

24 წლისა და მსოფლიოში რანგით 46-ე ჩოგნის მქნეველი ვერკერკი გახდა მესამე ჰოლანდიელი, ვინაც სლემტურნირის ფინალში გასვლა შეძლო. პირველი ტომ ოკერი გახლდათ — 1968 წელს ის აშშ-ის ღია პირველობის გადამწყვეტ მატჩში დამარცხდა. მეორედ კი სლემფინალის გემო ჰოლანდიელთაგან რიხარდ კრაიჩეკმა, 1996 წელს უიმბლდონის მომგებმა კაცმა მოსინჯა...

კორიასთან მისი მატჩის დროს მოხდა ინციდენტი, რომლის მსგავსსაც საქმეში ჩახედული ხალხი ალბათ ძვირად მოიგონებს.

ამბავი საპირველსეტო ტაიბრეიკის უკანასკნელ გათამაშებზე მოხდა, როცა ბურთს ვერ შეწვდენილმა არგენტინელმა მას ჩოგანი მიაყოლა. გაფრენილი საქნევი კინალამ იქვე მდგარ ბურთისბიჭს მიეხალა.

მართალია, კინალამ არ ითვლება, მაგრამ საქციელი ერთობ სკანდალური იყო, რისი მიხვედრის შემდეგაც კორიამ ბოდიშის ნიშნად ხელები შემართა, მერე კი ბურთისბიჭთან მივიდა, უბოდიშა და თავისი მაისურაც უბოძა.

მსაჯები კორიასა და ბიჭთან ერთად სიტუაციას დიდხანს განიხილავდნენ და არგენტინელს საბოლოოდ გაფრთხილებაღა აკმარეს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერკერკი კორტზე მშვიდად ადგა. ასევე მშვიდად განაგრძო მან მეტოქის დათრგუნვა და არც მაშინ აღელვებულა, კორიამ მესამე სეტში შეხვედრის შეთანაბრება რომ მოახერხა...

დანარჩენი კი თქვენ უკვე იცით.

ვერკერკის ხმაურიანი გამარჯვებიდან მცირე ხანში გაირკვა, მისი ფინალური მეტოქეც — ახმახი ჰოლანდიელი როლან გაროსის შარშანაც ფინალისტ ხუან კარლოს ფერეროს შეხვდება. კოლო-ფერერომაც სამ სეტში მოიშორა მეტოქე, რომელიც ვინმე სხვა კი არა, სწორედ ერთი წლისწინა ფინალში მისი მძლეველი და გაჩემპიონებული ალბერტ კოსტა დაამარცხა.

„კაცი ყველა მატჩს განსხვავებულად ატარებს, შარშან მე ჩემს თავს არ ვგავდი. იქნებ თავად კოსტაც არ იყო დღეს ძველი კოსტა?" — ფერერო შეეცადა თანამემამულის დამარცხების მიზეზის დასახელებას. თავად კოსტას კი არც უცდია მარცხი ცუდი სათამაშო ფორმისთვის მიეწერა. სწორედ რომ საპირისპირო რომ თქვა — ამ მატჩმა თავდაჯერებულობა დამიბრუნა, ცუდი სეზონი მქონდა და ახლა მჯერა, რომ ყველაფერი წალმა წამივაო. და კიდევ, კოსტამ მარცხი არც გადაღლილობას დააბრალა, თუმც კი შეეძლო. მან როლან გაროსის ქვედა წრეები ოთხი ხუთსეტიანი მატჩით გამოიარა და მეტოქეებს უზარმაზარი უპირატესობები გამოსტაცა. „ფიზიკურად მშვენივრად ვგრძნობდი თავს — თქვა დამარცხებულმა ჩემპიონმა ნამატჩევს — შეხვედრის ბოლოს ოდნავ მოვიღალე, მაგრამ ასეთი დაღლა ხომ ნებისმიერი თამაშის ეპილოგს ახლავს, მით უმეტეს, რომ დღეს ორივე თანაბრად კარგად ვთამაშობდით. წავაგე, რადგან ხუანს ჩემზე მეტად სურდა გამარჯვება. მე მთელი მატჩის განმავლობაში ვცდილობდი შეხვედრის ბედის შემობრუნებას, მაგრამ მე საქმე მქონდა შესანიშნავ მოთამაშესთან."

ბოლოს კი კოსტამ დასძინა, თუ ფერერო ფინალშიც ასე მარჯვედ იჩოგნავებს, ვერკერკის შანსები მინიმუმამდე შემცირდებაო.

ვერკერკისთვის შანსის წართმევა კი სარისკო საქმეა. ახმახმა ჰოლანდიელმა მოწოდება ისეთი იცის, რომ... აკი ამ როლან გაროსზე გამოვლილ ექვს კორტს ვერკერკის მძლავრი ჩოგნისგან გასროლილი 112 ეისის კვალი ატყვია.

**ლევან ძელაურაძე**

# ამბავ-ხაბარი

## ნადია და ბადია ანუ ნადე და ბადე



ნადია პეტროვას, პირველ რუს ქალს, ვინაც უკანასკნელი 28 წლის განმავლობაში როლანგაროსობის ნახევარფინალში გააღწია, ყველაზე მურდლად ერთი დარტყმა ეხსომება.

საქმე კიმ კლაისტერსთან მის მიერ 5:7, 1:6 წაგებული ნახევარფინალის პირველ სეტში, უფრო სწორად, ამ სეტის დამლევს მოხდა.

კიმმა ბურთს უჩოგნა, ბურთი ბადეს გაეხახუნა და...

აიწონა-დაიწონა, იწილო-ბიწილო. არავინ იცის, ბურთი უკან, კიმის მხარეზე რომ დაბრუნებულიყო, მატჩი როგორ მომთავრდებოდა.

მაგრამ ბურთი მაინც ნადიასკენ ჩავარდა და რუსგოგოს, რომელსაც წინა ორ მატჩში სამსეტიანი სახელოვანი ომები გადაეხადა ჯენი კაპრიატისა და თვისტომ ზვონარიოვასთან, სეტპოინტი გაუუქმა.

„არადა, ფინალამდე უკვე ერთი სეტიღა დამრჩებოდა" — ნანობს ახლა ნადია.

რას იზამ, ნადია, როცა სხვისი ბედია, მაშინ აღარც ბადეა.

## კიმი და ჟუსტინი

2001 წლამდე რაგინდარა სლემფინალში ვინგინდავინ ბელგიელსაც არ ეთამაშა.

პირველი კიმ კლაისტერსი გახდა. კიმი 2001 წლის როლანგაროსულ ფინალში გავიდა და იქ ჯენი კაპრიატისგან იძლია.

ერთი თვის შემდეგ მას ჟუსტინიც მიჰყვა. უიმბლდონურ ფინალამდე ნაკუდრაჭევმა მან ვინუს უილიამსთან დათმო.

ისინი მეგობრები არიან და ერთმანეთთან შეხვედრისას ძალიან ღელავენ.

კიმი ჟუსტინს საკარიეროდ 7:4 უგებს, მაგრამ ჟუსტინმა კიმს მათი ბოლო შეხვედრა მოუგო წლევანდელი ბერლინთიხნარობის ფინალში.

აი, ასე. ზედიზედ ოთხი შიდაუილიამსური სლემფინალის შემდეგ შიდაბელგიური ფინალი მივიღეთ. „ბელგიან სლემ" — როგორც ამას კიმი ამბობს — „სერენა სლემ"-ის მიმგვანებით.

## ამბავი პარიზელთაგან ეთიკეტის დარღვევისა

ჩოგბურთის ქომაგს აქვს უფლება, მხარი დაუჭიროს იმას, ვინც ესიმპათიურება, მაგრამ არა აქვს უფლება შეცდომის შემდეგ ქოქოლა დააყაროს იმას, ვინც არ ეპიტნავება.

იმ დღეს პარიზელი ქომაგობდნენ შლეგიანად ქომაგებს ჟუსტინ ენენ-არდენს, მაგრამ ასევე შლეგიანად ყიჟინობდნენ მაშინ, როცა სერენა უილიამსი ცდებოდა.

„ეს სრული უვიცობაა — ასე აფასებს მათ საქციელს სერენას დედა-მწვრთნელი ორასინ პრაისი — მათ საერთოდ არ სცოდნიათ არც ჩოგბურთი და არც საჩოგბურთო ეთიკეტი."

ჟუსტინის პასუხი კი ასეთია: „ქომაგები მართლაც საოცრად მეხმარებოდნენ. მე მათი დიდი მადლობელი ვარ, თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ ისინი ზოგჯერ მართლაც ამლაშებდნენ."



## პლატინის აღსარება

მიშელ პლატინი, დიადი ფრანგი ფეხბურთელი გამოტყდა, რომ მისი თვისტომის, იანიკ ნოას მიერ ოცი წლის წინ საფრანგეთის ღია პირველობაზე გამარჯვებამ მასზეც შაბაშ შემგულიანებლად იმოქმედა.

ნოამ 1983 წლის 5 ივნისს ფინალში მატს ვილანდერს მოუგო. ის იყო პირველი ფრანგი, ვინაც ფრანგთა სლემტურნირის მოგება 1946 წლის შემდეგ შეძლო.

„იანიკის წარმატება მთელი ფრანგული სპორტისთვის უდიდეს სტიმულად იქცა — აღიარებს მსოფლიოს სამგზის საუკეთესო ფეხბურთელად სწორედ იმ წლებში მიჩნეული პლატინი — მაშინ „იუვეში" ვთამაშობდი და იტალიელები განუწყვეტლივ დამცინოდნენ იმის გამო, რომ ფრანგები სპორტში ვერაფერს იგებდნენ. იანიკის წყალობით ნელ-ნელა ყველაფერი შეიცვალა."



## ვინც ჩოგნაობს მეფეთათვის...

პირველ შიდაბელგიურ სლემფინალს, რომელშიც კიმ კლაისტერსი ჟუსტინ ენენ-არდენს უნდა ერკინოს, ბელგიის ჩოგანთმოყვარე მეფე-დედოფალი — ალბერტი და პაოლაც დაესწრებიან.

„ეს ფინალი ბელგიის ისტორიის ერთი ყველაზე წარმოუდგენელი ამბავია. იმ დღეს ბელგიელები ალბათ ყირაზე გადავლენ" — ასე საუბრობს ჟუსტინ ენენ-არდენი, რომელმაც იმ დღეს ასევე წარმოუდგენლად მარჯვედ 6:2, 4:6, 7:5 სძლია ქალთა ჩოგბურთის დაჭრილ ავაზა სერენა უილიამსს.

## მაკინროის ჯილაგოგო

ჟუსტინ ენენ-არდენი დიადი ჯონ მაკინროის ჯილაგოგოა.

ამას წინათ ბელგიაში ჟუსტინის ცხოვრებისა და ჩოგნაობის ამსახველი წიგნი გამოიცა.

თითქოს ნაადრევი იყო — მას ხომ სლემმნიშვნელოვანი ჯერ არაფერი მოუგია და ის ხომ 21-ისა მხოლოდ ერთი კვირის წინ მოიყარა, მაგრამ ამ გოგოს ხელუკულმის მსოფლიოში საუკეთესოდ მიმჩნევმა მაკინროიმ წიგნს თავისი თბილი შესავალი მაინც აახლა.

ლეგენდარულ ამერიკელს ალღომა და ბურთის უნატიფესმა შეგრძნებამ არც ამჯერად უმტყუნა...

ხოლო ციდა ჟუსტინი რომ უფრო გიყვარდეთ, ერთსაც გეტყვით: ის მხოლოდ 12 წლისა იყო, როცა დედა უკურნებელი სენით გარდაეცვალა.

„როლანგაროსობაზე სერენას ძლევა ფანტასტიკური ამბავია — ამბობს ჟუსტინი — მაგრამ ცხოვრებაში სხვა მნიშვნელოვანი ამბებიცაა. ზოგჯერ გილხინს, ზოგჯერ გიჭირს. ჩემი ცხოვრების უდიდეს დღედ ჩემი ქორწინებისას მივიჩნევ. იმ დღეს ამას ვერც კი შევადარებ."



# NBAსოციაციაში ოქროთი ჩასვლა ჯობს

## ქართველები ტიტულისთვის გულიანად ჩხუბობენ

*ევროპის ქვეყნებში ეროვნული ჩემპიონატები დაისზეა. ჩვენი ყურადღება, ბუნებრივია, იმ ლიგებისკენაა მიმართული, სადაც ქართველები თამაშობენ. ევროპის ქართული ლეგიონის თითქმის ყველა წევრს აქვს ჩემპიონობის შანსი*



ზაზა ფაჩულია

**ბენეტონელი** მანუჩარ მარკოიშვილი სერია A-ს ფინალშია და მეტოქეს ელის, რომელიც „სკიპერ" — „რომას" დაპირისპირებამ უნდა გაარკვიოს. ფინალშია ვახტანგ ნაცვლიშვილის „ოლივეირენშეც", რომელიც ლისაბონის „ტელეკომთან" პორტუგალიის საჩემპიონო სერიას დღეს საღამოს იწყებს. ახალგაზრდა გიორგი მდივანი კი საფრანგეთის ჩემპიონობასთანაა ახლოს, ეგაა, „პო ორტეზის" ძირითად შემადგენლობაში შუა სეზონში გამოჩენილს პლეი ოფში მოედანზე გასვლა აღარ უწევს.

ახლა კი უშუალოდ საჩემპიონო სერიაში ჩაბმულ ქართველებზე ვთქვათ: ზაზა ფაჩულიას „ულქერს" თურქეთში „ეფესი" ეცილება პირველობას, ვლადიმერ ბოისას „ოლიმპიას" კი სლოვენიაში სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა ნოვო მესტოს „კრკას" სახით და ოლიმპიურ ჰეგემონიას დამხობის საფრთხე დაემუქრა.

ფაჩულიასაც და ბოისასაც კონტრაქტები ამ ზაფხულს უმთავრდებათ და ორივენი ცალი თვალით ნბა-სკენ იცქირებიან. ჰოდა, ორივეს ჩემპიონად სურს ევროპული სეზონის დასრულება, მაგრამ ჯერჯერობით ბედი არ სწყალობთ.

„ულქერი", რომელმაც „ეფესს" რეგულარულ ჩემპიონატში აჯობა, ახლა 2:3 აგებს მასთან ფინალურ სერიაში. მეკანფეეტთა მდგომარეობა თითქმის უიმედო იყო, 1:3 აგებდნენ, მაგრამ გუშინწინდელ შეხვედრაში შინ 80:72 დაამარცხეს მეტოქეები და შანსი შეინარჩუნეს.

ბოლო მატჩში ფაჩულიას ბევრი არ უთამაშია, 7 წუთში 5 ქულა ჩააგდო. თუმც რომ არა მოძალებული ემოციები, ზაზა ალბათ მეტს ითამაშებდა. ერთ-ერთ ეპიზოდში ფაჩულიას ეფესელი კაია პეკერი შეეჯახა და საქმე დაკადაკამდე მივიდა. ქართველიცა და თურქიც თამაშიდან გააძევეს და თითომატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

მომდევნო შეხვედრა ხვალ გაიმართება „ეფესის" „აბდი იპექჩის" დარბაზში და თუ ულქერელები ამ თამაშის მოგებასაც მოახერხებენ, უკვე მათ ექნებათ თურქული ოქროს მოგების „ეფესზე" უკეთესი შანსი — გადამწყვეტ ჯახს უმასპინძლებენ.

ლიუბლიანის „ოლიმპიამ" კი სლოვენის ჩემპიონატის პირველი ფინალური შეხვედრა ნოვო მესტოში წააგო „კრკასთან". სერიაში გამარჯვება სამ მოგებამდეა და ოლიმპიელებს ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად აქედანვე მართებთ მობილიზება.

ბოისას გუნდმა რეგულარული ჩემპიონატის პირველი ადგილი კრკაელებს დაუთმო და მოედნის უპირატესობით ვერ ისარგებლებს. ნოვო მესტოში წაგებულ შეხვედრაში ბოისამაც ითამაშა, მაგრამ სახეირო ბევრი ვერაფერი გააკეთა. 24 წუთში ვოვამ ოდენ 4 ქულის შეკოწიწება მოახერხა და ამდენივე, 4 პასიმიითვალა, რაც ოლიმპიელთა შორის საუკეთესო შედეგია... მომდევნო მატჩი ლიუბლიანაში 7 ივნისს გაიმართება.

**ირაკლი პერტაია**



ვლადიმერ ბოისა



ნენე ილარიო და ნიკა ცქიტიშვილი

# ნიკა ცქიტიშვილი დენვერელებმა მშვენიერი კომპანიით დაამშვიდეს

*ნიკა ცქიტიშვილს „დენვერში" კვლავაც ენდობიან და ეს მიუხედავად იმისა, რომ შარშანდელ დრაფტზე მასზე გაცემული მეტად სოლიდური ავანსი ვერ გაამართლა.*

*რეალობა ასეთია: ცქიტიშვილმა სადებიუტო სეზონი ჩააგდო. ის ყველაზე სუსტი ახალბედა თუ არა, ერთ-ერთი ასეთთაგანია*

**თინეიჯერი ახალბედები პირველ სეზონში**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნენე ილარიო (დენვერი) | 02-03 | 7 | 20 | 10.5 | 6.1 | 1.9 | 1.59 | 51.9 |
| კევინ გარნეტი (მინესოტა) | 95-96 | 5 | 19 | 10.4 | 6.3 | 1.8 | 1.08 | 49.1 |
| დარიუს მაილსი (კლიპერსი) | 00-01 | 3 | 18 | 9.4 | 5.9 | 1.2 | 0.63 | 50.5 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 98-99 | 9 | 20 | 8.2 | 3.4 | 1.0 | 0.62 | 40.5 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 96-97 | 13 | 18 | 7.6 | 1.9 | 1.3 | 0.69 | 41.7 |
| ტრეისი მაკგრეიდი (ტორონტო) | 97-98 | 9 | 18 | 7.0 | 4.2 | 1.5 | 0.77 | 45.0 |
| ედი კარი (ჩიკაგო) | 01-02 | 3 | 19 | 6.7 | 3.8 | 0.3 | 0.22 | 50.1 |
| შონ კემპი (სიეტლი) | 89-90 | 17 | 19 | 6.5 | 4.3 | 0.3 | 0.58 | 47.9 |
| ტაისონ ჩანდლერი (ჩიკაგო) | 01-02 | 2 | 19 | 6.1 | 4.8 | 0.8 | 0.39 | 49.7 |
| კვეიმ ბრაუნი (ვაშინგტონი) | 01-02 | 1 | 19 | 4.5 | 3.5 | 0.5 | 0.28 | 38.7 |
| ჯერმენ ონილი (პორტლენდი) | 96-97 | 17 | 18 | 4.1 | 2.8 | 0.2 | 0.04 | 45.1 |
| ნიკა ცქიტიშვილი (დენვერი) | 02-03 | 5 | 19 | 3.9 | 2.2 | 1.1 | 0.38 | 29.3 |
| ჯონათან ბენდერი (ინდიანა) | 99-00 | 5 | 18 | 2.7 | 0.9 | 0.1 | 0.04 | 32..9 |
| რაშარდ ლუისი (სიეტლი) | 98-99 | 32 | 19 | 2.4 | 1.3 | 0.2 | 0.40 | 36.5 |
| ალ ჰარინგტონი (ინდიანა) | 98-99 | 25 | 18 | 2.1 | 1.9 | 0.2 | 0.19 | 32.1 |

*პირველი სვეტი — სეზონი; მეორე — დრაფტის ნომერი; მესამე — ასაკი პირველ სეზონში; მეოთხე — ქულა; მეხუთე — მოხსნა; მეექვსე — პასი; მეშვიდე — ჩაჭრა; მერვე — თამაშიდან ჩაგდების პროცენტი*

კი, იყვნენ ცქიტიშვილზე უარესი სათამაშო მაჩვენებლების მქონე ახალბედებიც, მაგრამ ისინი რა მოსატანნი არიან იმათთან, ვინც დრაფტის პირველ ათეულში აირჩიეს. ხოლო ნიკა ათეულის კი არა, ხუთეულის წევრია, თუმც რეალურად დრაფტის მეორერაუნდელად თუ გამოდგა.

სამაგიეროდ, გაამართლა „დენვერის" მეორე ახალბედამ, დრაფტის მე-7 რჩეულმა, ბრაზილიელმა ნენე ილარიომ. სამხრეთამერიკელი ცენტრი უკვე თამამად შეიძლება ჩაითვალოს ნბა-ს ღირსეულ ბინადრად და თუ ასევე გააგრძელა, არც ვარსკვლავობამდეა შორს.

მოკლედ, „დენვერი" გასული სეზონს ერთ ძლიერ და ერთ სუსტ ახალბედას გამორჩა. ენაზე იკბინეთო, გვეტყვიან დენვერელები, ისინი ნიკა ცქიტიშვილს სულაც არ მიიჩნევენ უხეირო კალათბურთელად. სავსებით შესაძლოა, „ცქიტომაც" გაშალოს ნბა-ში ფრთები და ჩვენც ეს გვინდა, მაგრამ ეს კია: უიღბლო ახალბედის სახელს ცქიტიშვილი ჯერჯერობით ვერ მოიშორებს. თუმც „დენვერში" არც ეს ანაღვლებთ. მათ საგულდაგულოდ დაუჩხრიკავთ ღლევანდელობის ყველა ასე თუ ისე ცნობილ კალათბურთელთა სადებიუტო სეზონის მაჩვენებლები და აღმოუჩენიათ, რომ არაერთი ვარსკვლავისთვის უხეირო დასაწყისი ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა.

**ირაკლი სახეჩიძე**

# ძალიან ბევრზე, კაცზე და საქმეზე

**ჩვენმა** კოლეგა დავით ჭელიძემ წიგნი გამოსცა — „ცხოვრების ხიბლი ცხოვრებაშია". ავტორი წინასიტყვაობაში წერს, ამ წიგნში დასტამბული „წერილების თავმოყრა, მათი ერთობლიობაში მოქცევა თავიდან არც მიფიქრია. სტატიები, ინტერვიუები, ნარკვევები 2000-2002 წლებში ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა. მერე, ორმოცდაათის რომ გავხდი, ვიფიქრე, ოცი წელი ბევრი ხომ არ არის-მეთქი (პირველი წიგნის გამოცემიდან) და მეორის გამოცემა მოვიწადინე..."

მოიწადინა და გამოსცა კიდეც, მაგრამ საკვირველია, ორ-სამ წელიწადში რამ დააწერინა სრულიად განსხვავებული პროფესიის ადამიანებზე: მწერლებზე, კომპოზიტორებზე, მედიკოსებზე, იურისტებზე, მხატვრებზე, მსახიობებზე, მუსიკოსებზე, მომღერლებზე, სპორტსმენებზე, ჟურნალისტებზე და სხვებზეც სამოცზე მეტი ნარკვევი, სტატია თუ ინტერვიუ, რამაც ამ წიგნში ერთად თავმოყრილმა 450-მდე გვერდი შეადგინა.

რაღა თქმა უნდა, 50 წლის კაცს სხვა მოსაგონარიც ბევრი რამ აქვს და რამდენიმეს მკითხველსაც აცნობს.

მაგრამ ჩვენთვის ეს წიგნი, უწინარეს ყოვლისა, სპორტული თემატიკითაა საინტერესო. იგი მოგვითხრობს საქართველოს სპორტის ვარსკვლავებზე, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებზე, მათ მწვრთნელებზე. ესენი არიან: ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი, ნინო სალუქვაძე, მზია ჯულელი, გიორგი ასანიძე, ნიკოლოზ დერიუგინი, მიხეილ მესხი, ზურაბ საკანდელიძე, დავით ყიფიანი, ოთარ და მიხეილ ქორქიები...

ავტორს არც კოლეგები, სპორტული ჟურნალისტები დავიწყებია: მიხეილ კაკაბაძე, ნოდარ გუგუშვილი, ელგუჯა ბერიშვილი და სხვანიც...

**ავთანდილ გურასაშვილი**



## NHL სტენლის თასი

### ფინალი ოთხ მოგებამდე

# ეშმაკური პრიმიტივიზმი

## დაარტყი-მიაწექი გაამართლა



უგოლო მეკარემ ჟან სებასტიან ჟიგერმა ამ თამაში ერთბაშად ექვსი გაუშვა

5 ივნისი

### ნიუ ჯერსი 3:2 ანაჰაიმი

**ნიუ ჯერსი 6:3 ანაჰაიმი 2:2 2:1 2:0**

**0:1 სიკორა (1), 1:1 რიომი (4), 2:1 ელიაში (8), 2:2 რუჩინი (13), 3:2 ჯიონტა (24), 3:3 პოლსონი (27), 4:3 პანდოლფო (30), 5:3 ლანგენბრუნერი (46), 6:3 ლანგენბრუნერი (53)**

ნიუ ჯერსი: ბროდო; სტივენსი — რაფალსკი, ნიდერმაიერი — უაიტი, ტვერდოვსკი — ალბელინი; ჯიონტა — მედენი — პანდოლფო, ბრილინი — რიომი — სტივენსონი, ელიაში — გომესი — მარშალი, ფრიზენი — რაპი — ლანგენბრუნერი

ანაჰაიმი: ჟიგერი; ჰაველიდი — კარნი, ოზოლინში — სოიერი, ვიშნევსკი — სალეი; კარია — რუჩინი — სიკორა, ლეკლერკი — ოუთსი — ნიდერმაიერი, ტომასი — პოლსონი — ჩისტოვი, შუინარი — კროგი — ბილსმა

ანაჰაიმელ პეტერ სიკორას პირველი ელვაგოლი რომ არ გაეტანა, ეგებ მისი გუნდისთვის საქმე უკეთ წასულიყო. სტუმრები 42-ე წამზევე დაწინაურდნენ. ადამ ოუთსმა შაიბის ჩაგდება მოიგო, სიკორამ კი უმალვე დაარტყა და...

ამან მხოლოდ გააცხარა ნიუ ჯერსი. საქმე ისაა, რომ წინა ოთხ შეხვედრაში პირველ პერიოდში გოლი არ გადიოდა. ამიტომაც პირველი გოლის ფაქტორი ერთობ მნიშვნელოვანი ხდებოდა. იმ მატჩებში სწორედ იმ გუნდმა მოიგო, რომელმაც ანგარიში გახსნა. ამჯერად პირველი შაიბა ისე სწრაფად გავიდა, რომ გუნდებს მთლიანად შეეცვალათ მატჩის წინ მოხაზული გეგმები. შემდეგ კი ნამდვილი სპექტაკლი ვიხილეთ, რომელსაც ამ დაცვითი გუნდებისგან არავინ ელოდა.

ნიუ ჯერსიმ იგრძნო, რომ თუ თავიდანვე არ გაბატონდებოდა მოედანზე, საქმე ცუდად წაუვიდოდა და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, მთელი ძალებით იერიშზე გადავიდა. ანაჰაიმი ამას ნამდვილად არ ელოდა. „ეშმაკებმა" უძველეს ტაქტიკას მიმართეს, რომელიც კანადა — სსრკ ისტორიულ ბრძოლაში ჰოკეის სამშობლოს შვილების მთავარი იარაღი იყო. ეს ტაქტიკა ერთი მხრივ თითქოს პრიმიტიულია — მეტოქის ზონაში შაიბის ჩაგდება, შემდეგ კი იქ ბორტთან ბრძოლა და, რაც მთავარია, დარტყმები ნებისმიერი პოზიციიდან, რათა რაც შეიძლება მეტი იყოს ასხლეტა, რიკოშეტი... ამ ტაქტიკამ ნიუ ჯერსის სრულად გაუმართლა. მასპინძლებმა ყველა გოლი ამგვარ სტილში შეაგდეს, გამონაკლისი მხოლოდ ელიაშის შაიბა იყო, რომელიც ჩეხმა ბრაიან რაფალსკის ჩინებული პასის შემდეგ გაიტანა. ნიუ ჯერსის ორი გოლი კურიოზული გამოდგა. მაგალითად, ბრაიან ჯიონტას კარში სულაც არ დაურტყამს, მაგრამ შაიბა ერთბაშად ორი ანაჰაიმელის ყვანჯმა აისხლიტა და კარში აღმოჩნდა. ჯეი პანდოლფომ კი საერთოდ ციგურით შეაგდო და თავიდან არბიტრებმა არც კი ჩათვალეს ეს გოლი, მაგრამ ვიდეოგამეორებაზე აშკარად ჩანდა, რომ ფორვარდს ეს შეგნებულად არ გაუკეთებია და ხანმოკლე ბჭობის შემდეგ მსაჯებმა გოლი ჩათვალეს. ეს თითქოს შემთხვევითი გოლებია, მაგრამ ფაქტია, ნიუჯერსელებმა ისეთი აგრესიულობა და ჟინი გამოავლინეს, რომ ეს შაიბები თუ არა, სხვა მაინც გავიდოდა ჟიგერის კარში.

„გულახდილად რომ ვთქვათ, ნამდვილად გაოცებული ვარ ჩემი პარტნიორების თამაშით. ასეთ ზებუნებრივ ჟინსა და ენთუზიაზმს ნამდვილად არ ველოდი ბიჭებისგან" — თქვა მატჩის შემდეგ ნიუჯერსელთა მეკარემ მარტინ ბროდომ.

ანაჰაიმი კერკეტი კაკალია, უცებ ვერ გატეხ. სტუმრებმა ერთობ ოსტატურად გამოიყენეს ნიუ ჯერსის ხანმოკლე შეყოვნება მეორე და მესამე გოლის შემდეგ და ორჯერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. ასე რომ, მესამე პერიოდამდე არ გადაწყვეტილა, მატჩის ბედი. ანაჰაიმი ალბათ ელოდა, რომ მეტოქე მინიმალური უპირატესობის შენარჩუნებაზე იფიქრებდა. თუმც „ეშმაკებმა" აქაც მოატყუეს სტუმრები. უფრო სწორად, ისე დაიქოქნენ, რომ დაცვაში ველარაფრით ჩადგებოდნენ. შედეგად ბოლო პერიოდში 13:4 აჯობეს მოწინააღმდეგეს დარტყმებში და ლანგენბრუნერის მეორე გოლის შემდეგ გაინაღდეს კიდეც სასურველი შედეგი. ბოლო წუთებზე მათ სანერვიულო არ ჰქონიათ.

„ეშმაკებს" ერთი ნაბიჯიღა დარჩათ მიზნამდე. საინტერესოა, რომ ნიუ ჯერსი თავის ბოლო ორ ფინალშიც 3:2 იგებდა, თუმც ერთხელ, 2000 წელს მოიგო თასი დალასთან ჭიდილში. მომდევნო სეზონში კი ბოლო ორ მატჩში დამარცხდა კოლორადოსთან.

და კიდევ: ჯერჯერობით ამ ფინალში მხოლოდ მასპინძლები იგებენ, რაც 1978 წლის შემდეგ პირველად ხდება. შემდეგი თამაში კი, მოგეხსენებათ, ანაჰაიმშია. „მთლად გულდაწყვეტილები არ ვართ. ახლა შინ მივემგზავრებით, სადაც თავს გაცილებით კომფორტულად ვგრძნობთ. ასე რომ თასის ბედი ჯერ არ გადაწყვეტილა" — ანაჰაიმელ სტივ ტომასს იმედი სულაც არ დაუკარგავს.



# მარიო ლემიეს კვამლი და ცეცხლი

მარიო ლემიეს სახელი აქამდე ყოველთვის პიტსბურგს უკავშირდებოდა. სუპერმარიო მთელი თავისი კარიერის განმავლობაში „პინგვინი" გახლდათ (სხვათა შორის, თანამედროვე ნჰლ-ისთვის ეს უიშვიათესი მოვლენაა). საერთოდ, ამ ქალაქში ჰოკეის განვითარება სწორედ მისი დამსახურებაა. როცა 1997 წელს სუპერმარიომ ყინული დატოვა, იგი პიტსბურგის მფლობელი შეიქნა და გუნდი გაკოტრებისაგან იხსნა. მერე კვლავ დიდ ჰოკეიში დაბრუნდა. ცხადია, ისევ პიტსბურგში. ამ სეზონის დასრულების შემდეგ კი განაცხადა, რომ ზაფხულში გადაწყვეტს, გააგრძელებს თუ არა მოთამაშის კარიერას. და აი, ახლა „ნიუ იორკ პოსტში" სენსაციური ცნობა დაიბეჭდა, თითქოს მარიო პიტსბურგს ყიდის, თავად კი... „რეინჯერსში" აპირებს გადასვლას.

მარიომ თავად უარყო ეს ჭორი. „უკვე ვთქვი, რომ ჯერ არ გადამიწყვეტია, დავბრუნდები თუ არა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მხოლოდ პიტსბურგში ვითამაშებ" — დააშოშმინა აღელვებული ქომაგები სუპერმარიომ. „რეინჯერსის" გენერალურმა მენეჯერმა გლენ საზერმაც დაადასტურა, რომ მას ლემიესთან არანაირი კონტაქტი არ ჰქონია, თუმც — ასე ამბობენ და — კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს.



## ჰოლანდია

### პლეი-ოფი. II ტური

ზვოლე 2:0 დენ ბოსხი

იგლსი 5:0 ჰელმონდი

ეძსელსიორი 1:2 ჰერაკლესი

ვოლენდამი 2:0 ემენი

## რუსეთი

### ლიგის თასი. 1/4 ფინალი

სპარტაკი 1:1 ზენიტი

შინიკი 2:0 როტორი

ტორპედო 4:2 ტორპედო-მეტალურგი

### ამხანაგური მატჩები

პოლონეთი 3:0 ყაზახეთი

პორტუგალია 0:0 პარაგვაი

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

### შესარჩევი ეტაპი

**I ჯგუფი. VI ტური**

ისრაელი 0:0 სლოვენია

მალტა 0:1 კვიპროსი

**II ჯგუფი. V ტური**

რუმინეთი 0:1 ბოსნია

დანია 2:0 ნორვეგია

**III ჯგუფი. V ტური**

ბელარუსი 2:1 ჰოლანდია

მოლდოვა — ავსტრია

*დღეს გაიმართება*

**IV ჯგუფი. V ტური**

უნგრეთი 3:1 ლატვია

სან მარინო 1:5 შვედეთი

**V ჯგუფი. IV ტური**

შოტლანდია 2:2 გერმანია

**VI ჯგუფი. V ტური**

უკრაინა 4:0 სომხეთი

ესპანეთი 2:0 საბერძნეთი

**VII ჯგუფი. V ტური**

სლოვაკეთი 0:1 თურქეთი

მაკედონია 1:4 პორტუგალია

**VIII ჯგუფი. IV ტური**

ბულგარეთი 2:1 ბელგია

**IX ჯგუფი. V ტური**

ფინეთი 1:2 სერბეთი

**ჩვენი ჯგუფი. V ტური**

შვეიცარია 1:0 რუსეთი

1:0 სტრელერი (22)

ირლანდია 2:1 ალბანეთი

1:0 ბარეტი (43), 2:0 ოფლინი (53), 2:1 მანსარუ (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 13 |
| რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:2 | 12 |
| ირლანდია | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 |
| ალბანეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| საქართველო | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | 1 |



ესპანეთი — საბერძნეთი. ბერძენი ახალგაზრდა პანაიოტის ლაგოსი (№7) ესპანელ თანატოლ ანხელ ლოპესს ბურთიანად გადაელობა



პორტუგალია — პარაგვაი. ლუიშ ფიგუმ (მარცხნივ) და კომპანიამ სტუმრებს ვერაფერი დააკლეს



REUTERS შანხაიდან

# შანხაის ფორმულა

შანხაიში, ჩინეთის ფინანსურ დედაქალაქში, გაჩქარებით მიმდინარეობს საფორმულე ტრეკის მშენებლობა. 5,45 კილომეტრიანი ტრეკი გერმანელი არქიტექტორის ჰერმან ტილკეს პროექტის მიხედვით შენდება და ჯამში 240 მილიონი დოლარი დაჯდება. სხვათა შორის, ტილკეს პროექტითვეა აგებული „სეპანგი ტრეკი“ მალაიზიაში. ჩინელები კი ჩინურ მასშტაბებს შეჭიდებიან: ტრიბუნებზე 200 ათასი მოსყირე დაეტევა და ხალვათი საჯინიბოებიც იქნება. შანხაის უკვე მიუღია უფლება, რომ 2004 წლიდან უმასპინძლოს ჩინეთის დიდი პრიზის რბოლებს.




REUTERS შანხაიდან

# სპეციალური თამაშები

21 ივნისს სპეციალური ოლიმპიური თამაშები გაიხსნება. მასპინძელი დუბლინის „კროუკ პარკია“, თამაშების თავმჯდომარე კი დენის ობრაინი გახლავთ, რომელსაც, ტრადიციისამებრ, ათენიდან მოაქვს ოლიმპიური ჩირაღდანი, რომელსაც მას ბერძენი ევანგელია პანაპულიუ უწვდის. სპეციალური ოლიმპიური თამაშები მესამედ ტარდება.



REUTERS ათენიდან




# საფოსტო მიკა

თუ აქამდე ფინურ მარკებზე ადამიანს დახატავდნენ, მხოლოდ ისტორიულ ან სახელმწიფო მოღვაწეს. ფორმულას ჩემპიონი მიკა ჰაკინენი პირველი კერძო პირია, სუომიურ მარკაზე რომ აღიბეჭდა. მას თურმე ბევრი გამოჩენილი ფინელი მიჰყვება.




REUTERS ხუანიდან

# შეატყდა

ასეთი რამ იშვიათია, მაგრამ ხდება ხოლმე: საბეისბოლო ინტერლიგის თამაშში პუერტორიკოს ქალაქ სან ხუანის „ბიტორნის“ სტადიონზე ერთმანეთს „მონრეალ ექსპოსი“ და „ანაჰაიმ ანგელზი“ ხვდებოდნენ. ანაჰაიმელმა ჯეფ ევენონმა ისე მოიქნია კეტი, რომ ხელში შეატყდა. კეტის ბრალია, მისი დურგლისა თუ მოთამაშის, ნუღარ ჩავეძიებით.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge